პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
19 მარტი **სამშაბათი** 2013
№064 (13 980) ფასი 80 თეთრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დღეიდან...
# ყველანი სპორტის სასახლეში!
თბილისში ევროპა საჭიდაოდ შეიკრიბა

# კონცენტრაცია მხოლოდ საქართველოზე
## დიდიე დეშამი შეტევას გვიქებს და ჩვენგან დაცვას ელოდება

საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიდიე დეშამი თავის ფეხბურთელებს მოუწოდებს მხოლოდ საქართველოს ნაკრებთან უახლოეს მატჩზე (22 მარტი) იფიქრონ და არა ესპანეთთან დაპირისპირებაზე (26 მარტი).

„დღეს ყველა ესპანეთის ნაკრებთან მატჩზე ფიქრობს, არადა, ჩვენ მაქსიმალურად კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაზე. ქართველებს კარგი თავდასხმა ჰყავთ, ისინი შესანიშნავად იცავდნენ თავს ესპანელების წინაალმდეგ. ჩვენც შეიძლება იგივე სიტუაციას წავაწყდეთ. პირველ რიგში, ისინი დაცვაზე იფიქრებენ და უნდა მოვნახოთ გოლის გატანის შესაძლებლობები. ჩვენ ვცდილობით შევქმნათ ისეთი გუნდი, რომელიც ხშირად ფლობს ბურთს და ამის ხარჯზე ქმნის მომენტებს“, - ამბობს დეშამი.




## ხიზანიშვილი:
## ტრანსფერი საფრანგეთის შემდეგ გადაწყდება



4

## 600
## 53
## 22
## 14



14-15

## ნადალის სტატისტიკა მასტერსის მოგების შემდეგ

# შეხვედრა სტამბოლში
## შოთა არველაძე ჟოზე მოურინიოს შეხვდა
### ქასიმფაშას მწვრთნელმა საქართველოს ნაკრებს რჩევა მისცა





ინტერვიუ შოთა არველაძესთან

2

# აღიარებული სიყვარული
## ლინდსი ვონმა ტაიგერ ვუდსთან ურთიერთობა დაადასტურა

16





## ალონსოს უარი რეალს

მადრიდის „რეალის“ 31 წლის ნახევარმცველმა ჩაბი ალონსომ უარი თქვა სამეფო კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე. ესპანური პრესის ცნობით, „რეალის“ ხელმძღვანელობამ ფეხბურთელს ხელშეკრულების ორი წლით გაგრძელების წინადადებით მიმართა, მაგრამ უარი მიიღო.

მიუხედავად ამისა, მადრიდელები არ აპირებენ ზაფხულში ნახევარმცველის გაყიდვას, ამიტომაც ალონსო „რეალში“ 2014 წლის ივნისამდე დარჩება, რის შემდეგაც თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს გუნდს.

შეგახსენებთ, რომ ჩაბი ალონსო „რეალში“ 2009 წელს, „ლივერპულიდან“ გადავიდა.

## 5 მატჩით დასჯილი

ბუნდესლიგის სადისციპლინო კომიტეტმა ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა „ჰამბურგის“ ნახევარმცველი მაქსიმილიან ბაისტერი.

ინციდენტი „ჰამბურგისა“ და „აუგსბურგის“ მატჩის მე-80 წუთზე მოხდა, როცა ფეხბურთელმა უხეშობისთვის წითელი ბარათი მიიღო. ბაისტერის შემდგომი მოქმედება შეფასდა, როგორც მსაჯზე თავდასხმა და შეურაცხყოფის მიყენება.

გაძევების მომენტში ნახევარმცველი 11 წუთის შესული იყო მინდორზე. „ჰამბურგმა“ შეხვედრა 0:1 წააგო.

● საქართველოს XXIV ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა

# ყველაფერი წვიმას დავაბრალოთ...

| I-VI ადგილები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ. | ბურთები გაშ. | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 24 | 17 | 5 | 2 | 66 | 19 | 56 |
| 2 | დილა | 24 | 17 | 2 | 5 | 38 | 16 | 53 |
| 3 | ტორპედო | 24 | 14 | 5 | 5 | 41 | 18 | 47 |
| 4 | ჩიხურა | 24 | 14 | 5 | 5 | 38 | 22 | 47 |
| 5 | ზესტაფონი | 24 | 11 | 5 | 8 | 31 | 22 | 38 |
| 6 | ზუგდიდი | 24 | 10 | 5 | 9 | 28 | 32 | 35 |

**XXV ტური**

**30 მარტი, შაბათი**

დილა-ზუგდიდი
ტორპედო-დინამო (თბ)
ჩიხურა-ზესტაფონი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 18 |
| დვალი (დინამო თბ) | 17 |
| ს. ლომაია (მერანი) | 13 |

**სანაკრებო** მატჩების გამო უმაღლეს ლიგაში 30 მარტამდე შესვენებაა, უდიდესი მოლოდინის მქონე განვლილ ტურს კი სატურნირო ცხრილში არანაირი კორექტივ(ებ)ი არ შეუტანია; თუმცა, ორივე ექვსეულში (ზედაშიც და ქვედაშიც) სიტუაცია ერთობ დაიძაბა და როგორც საფრანგეთი-საქართველოს სანაკრებო დაპირისპირებას ველოდებით უდიდესი ინტერესით, თითქმის ისეთივე მოლოდინია მომდევნო ტურისადმი. ჰო, არ დაგავიწყდეთ: 30 მარტს ხომ „ქართულ კლასიკოდ“ შერაცხილი „ტორპედო“ — „დინამოს“ პაექრობაა!.. თუმცა, მანამდე დიდი დროა და ახლა, სჯობს განვლილი ტურის გამორჩეული ფაქტები თუ მოვლენები ვახსენოთ; ოღონდ, არა მხოლოდ გამორჩეულ-განსაკუთრებული-დადებითი...

## უცხოური ზავი

იშვიათია, როცა ორი ფავორიტის დაპირისპირებისას გულშემატკივარმა ლამაზი სანახაობა იხილოს და ამ მხრივ გამონაკლისი არც ტურის ცენტრალური მატჩი გამოდგა; ვინმემ, შესაძლოა, კოკისპირულ წვიმას დააბრალოს ყველაფერი, მაგრამ „დინამო-არენის“ მოედნის საფარი მართლაც ჩინებულ მდგომარეობაში იყო და ფეხბურთელებსაც საწუწუნო არაფერი უნდა ჰქონოდათ. წინდაწინ ვიტყვით, რომ მთლიანობაში, ალბათ, ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა და ამავე აზრის გახლდნენ მატჩის დამთავრების შემდეგ ჩემპიონატის ფავორიტთა მთავარი მწვრთნელებიც. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მასპინძლებმა მეტოქეზე უკეთ მხოლოდ შეხვედრის საწყის და ბოლო წუთებში ითამაშეს, აი, დანარჩენ დროს (განსაკუთრებით, პირველ ტაიმში), „დილა“ გამოიყურებოდა ყოჩაღად. ასე და ამრიგად, „დინამომ“ პირველი ქულა დაკარგა საკუთარ მოედანზე, „დილამ“ კი კვლავ დაადასტურა სტუმრად ყველაზე წარმატებული გუნდის სტატუსი; არადა, შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე „დინამომ“ ყველაზე უარესი მატჩი სწორედ „დილასთან“ ჩაატარა (როცა 0:2 წაგო გორში), გორელებისათვის კი „დინამო-არენაზე“ წინა სტუმრობა გამოდგა მართლაც კოშმარული (დინამოელებმა უშუალო კონკურენტი პირწმინდად დაჯაბნეს და 3:0 მოიგეს). ახლა კი, უმაღლეს ლიგაში მოღვაწე ორი უცხოელი სპეციალისტის დაპირისპირება „მშვიდობიანად“ დამთავრდა; თუმცა, „დინამოს“ ჩეხი თავკაცის **დუშან უჰრინისაგან** განსხვავებით, „დილას“ ლიტველი მწვრთნელი **ვალდას ივანაუსკასი** მთელი მატჩის განმავლობაში (განსაკუთრებით — პირველ ტაიმში) მოედანზე მიმდინარე მოვლენებს ემოციურად აღიქვამდა თუ გამოხატავდა. ისე, ივანაუსკასისათვის ეს სტადიონი უცხო ნამდვილად არ არის: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დროს ხომ არაერთხელ უასპარეზია ვილნიუსის „ჟალგირისის“ შემადგენლობაში; ბოლოს კი 1990 წლის 27 მაისს, როცა ლიტვის ნაკრების უპირობო ლიდერის რანგში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა.

## სიურპრიზები და სხვადასხვა ტაიმი

ტურის ცენტრალური მატჩის პერიპეტიებს აღარ გავიხსენებთ მით უმეტეს, რომ ამ შეხვედრისას პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე იყო; სამაგიეროდ, რაც თვალში მოგვხვდა, ის გვინდა გაგიზიაროთ და უპირველეს ყოვლისა, ორივე გუნდის მწვრთნელის მიერ მოფიქრებულ ტაქტიკურ „სიურპრიზებზე“ გავამახვილებთ ყურადღებას. მოგეხსენებათ, **დუშან უჰრინი** ძირითად შემადგენლობაში როტაციას იშვიათად თუ მიმართავს (უფრო ზუსტად, მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე ფეხბურთელს ტრავმა ან დისკვალიფიკაცია აქვს). ახლა კი, ძალიან ბევრისთვის (პირველ რიგში კი, ალბათ კოლეგისთვის) მოულოდნელად, **პეტერ გრაიციარისა** და **ირაკლი ძარიას** ნაცვლად, ცენტრალურ ნახევარმცველებად გამოცდილი **ლევან ხმალაძე** და ახალგაზრდა **გიორგი პაპავა** გაამწესა; სხვათა შორის, 20 წლის პაპავამ ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა და ხისტი თამაშით მეტოქეებს მჭიდროდ მეურვეობდა. სტუმართა გუნდის ძირითადში კი, რაღა თქმა უნდა, **გოგიტა გოგუას** გამოჩენა იყო სიურპრიზი — 29 წლის ფეხბურთელი პირველ ტაიმში მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ, მაგრამ შესვენების შემდეგ დაიღალა. ეს არ იყო გასაკვირი: გოგუას ხომ „დილასთან“ ერთად კი არა, ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი არც ერთ გუნდთან არ გაუვლია. არადა, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, თუ როგორი ზემოტივაციით თამაშობდა ეს ენერგიული ნახევარმცველი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ. და კიდევ ერთი დეტალიც: წინა ტურში, როცა „დილამ“ „ზესტაფონი“ დაამარცხა, გორელებმა ორი განსხვავებული ტაიმი ჩაატარეს. ანალოგიური „სურათი“ იყო კვირა საღამოსაც: საწყის 15 წუთს თუ არ ჩავთვლით, ვალდას ივანაუსკასის გუნდი პირველ ტაიმში საოცარი აღმაფრენით თამაშობდა, აი, მეორეში კი თითქოს ტერიტორიული უპირატესობა დათმო და ისეთი შთაბეჭდილებაც რჩებოდა, თითქოს ორივე გუნდი „თანახმა იყო“ საყაიმო ანგარიშზე (ერთი-ორჯერ **გიორგი მერებაშვილის** ინდივიდუალურ გაბრწყინებას თუ არ ჩავთვლით)...

## წვიმა, შემოტრიალება და დუბლი-ორი

ფეხბურთს გოლები ალამაზებს, მაგრამ ისე როგორც ტურის ცენტრალური მატჩი, არანაკლებ დაანონსებული „იმერული დერბიც“ უგოლო ფრედ დამთავრდა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც ამინდის კაპრიზი უნდა ვახსენოთ: სველმა მინდორმა თამაშის ხარისხს დაღი დაასვა და, ალბათ, ამას უნდა დავაბრალოთ ორმხრივი შეცდომები დამაგვირგვინებელ ფაზაში. ეს ფრე არც ერთ გუნდს ხელს არ აძლევდა: „ზესტაფონი“ კვლავაც გვარიანად ჩამორჩება „საევროპე ზონას“, „ტორპედოს“ კი უკვე „ჩიხურა“ წამოეწია და ქუთაისელებს უპირატესობა მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთშეხვედრებში აქვთ. თავის მხრივ, „ჩიხურამ“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა: **სოსო ფრუიძის** გუნდა ისეთი თამაში შემოატრიალა, პირველი ტაიმი რომ წააგო; არადა, პირველ ეტაპზე განმუხურში „ზუგდიდის“ დამარცხება მხოლოდ ერთმა გუნდმა („ზესტაფონი“) შეძლო. ეგ კი არა, „ზუგდიდმა“ იმავე პირველ ეტაპზე რამდენიმე საშინაო მატჩი ისე მოიგო, პირველი ტაიმი რომ წააგო; ანუ, უყვარს ამ გუნდს თამაშების „შეტრიალება“ თუ „ამოტრიალება“...

...„ზუგდიდი“-„ჩიხურას“ მატჩში „დუბლი“ შეასრულა საჩხერელთა 21 წლის შემტევმა **ბესიკ დეკანოიძემ**; თუმცა გასულ ტურში კიდევ ერთმა ფეხბურთელმა შეძლო 2 გოლის გატანა: მეორე ეტაპზე აშკარად სახეშეცვლილმა (სასიკეთოდ) ბათუმის „დინამომ“ ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და ამაში ლომის წილი გუნდის ახალწვეულმა, **ბესიკ ჩიმაკაძემ** შეიტანა. აღსანიშნავია, რომ 24 წლის ცენტრფორვარდმა სეზონში მეორე „დუბლი“ შეასრულა: პირველ ეტაპზე „ვიტ ჯორჯიაში“ ასპარეზობის დროს და ახლა კი... უკვე ყოფილი გუნდის წინააღმდეგ!



დინამო (თბ)-დილა.



ამ ეპიზოდში დინამოელები პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ



ეროვნული ბიბლიოთეკა




| VII-XII ადგილები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ. | ბურთები გაშ. | ქ |
| 7 | მეტალურგი | 24 | 10 | 5 | 9 | 23 | 27 | 35 |
| 8 | მერანი | 24 | 7 | 3 | 14 | 24 | 38 | 24 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 24 | 5 | 7 | 12 | 15 | 33 | 22 |
| 10 | სიონი | 24 | 5 | 6 | 13 | 17 | 40 | 21 |
| 11 | დინამო (ბთ) | 24 | 5 | 4 | 15 | 25 | 47 | 19 |
| 12 | კოლხეთი | 24 | 1 | 4 | 19 | 13 | 45 | 7 |

**XXV ტური**

**30 მარტი, შაბათი**

მერანი–კოლხეთი
ვიტ ჯორჯია–მეტალურგი
სიონი–დინამო (ბთ)

## მოტივაცია დიდი საქმეა!

წინა ტურის მიმოხილვაში ვწერდით, რომ ფოთის „კოლხეთი“ კლუბის ისტორიაში ანტირეკორდს „უმიზნებდა“; ეგ კი არა, იმის საშიშროებაც „დავინახეთ“, რომ ეს უდიდესი ტრადიციის მქონე გუნდი, შესაძლოა იმ ანტირეკორდსმენი გუნდების (სამტრედიის „იბერია“, თელავის „კახეთი“) სიას შემატებოდა, სეზონი გამარჯვების გარეშე რომ ჰქონდათ დასრულებული. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა: 24 ტური „დასჭირდათ“ ფოთელებს, ჩემპიონატში პირველი მოგება რომ ეზეიმათ! თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ გამოცდილი სპეციალისტის, **სოსო ფილიას** დამოძღვრილმა ფაქტობრივად, უმოტივაციო გუნდმა ზამთრის პაუზის დროს შემადგენლობითა თუ ფინანსებით გაძლიერებულ „სიონს“ მოუგო; ფოთის „ფაზისის“ მოედნის საფარიც დამძიმებული ყოფილა ჭარბი ნალექის გამო (ნეტავ, დრენაჟი თუ არსებობს?), ერთობ ხისტი თამაშიც გაჩაღებულა, ერთი-ორჯერ ფეხბურთელებიც გვარიანად წაკინკლავებულან ერთმანეთში, მაგრამ, ფაქტია, რომ სატურნირო თვალსაზრისით ბევრად უფრო მოტივირებული ბოლნისელები შინ უქულოდ დაბრუნდნენ. მოკლედ, „კოლხეთის“ ისტორიაში ანტირეკორდი (მოუგებლად ასპარეზობას ვგულისხმობთ) აღარ შედგა და ისღა დაგვრჩენია, ფოთელებს პირველი გამარჯვება მივულოცოთ. ისე, ნურავის გაუკვირდეს, სეზონის ბოლომდე „კოლხეთმა“ სხვა გუნდ(ებ)თანაც რომ ზემოტივირებულად ითამაშოს...

## ძველები, ახლები და დაანონსებულები პრობლემა

ოთხწლიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა „მეტალურგის“ მეკარე **მიხეილ ალავიძე**; ასევე ოთხწლიანი პაუზის მერე უმაღლეს ლიგაში დაბრუნება გოლით აღნიშნა 32 წლის **კოკა მიკუჩაძემ** („სიონი“). თუმცა, მიკუჩაძისგან გოლ(ებ)ის გატანა არავის უნდა უკვირდეს: ბოლნისელთათვის სატრიუმფო სეზონში (2005-06) მიკუჩაძეს მცირედი დააკლდა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი რომ გამხდარიყო (თბილისის „დინამოს“ ფორვარდმა **ჯაბა დვალმა** 2 ბურთით აჯობა) ალავიძეც და მიკუჩაძეც თავის დროზე გამორჩეულნი იყვნენ საქართველოს ჩემპიონატში, ზოგიერთ მათ კოლეგას კი პირველი წარმატებები გვინდა მივულოცოთ: რუსთავის „მეტალურგის“ 20 წლის ნახევარმცველმა **ზვიად ლობჟანიძემ** და მარტვილის „მერანის“ 21 წლის შემტევმა **ლაშა კუჭუხიძემ** გასულ ტურში სადებიუტო გოლები გაიტანეს უმაღლეს ლიგაში! დაბოლოს, იმ არასასიამოვნო ფაქტ(ებ)ზეც, მართლაც გაკოხტავებულ-გალამაზებულ „დინამო-არენაზე“ შესვლა-გამოსვლისას რომ აწყდება გულშემატკივარი თუ ჟურნალისტი (უფრო ზუსტად, მანქანების სადგომიდან ტრიბუნებამდე მისვლასა და საპირისპირო მიმართულებით „მოძრაობას“ ვგულისხმობთ); თუმცა, ამ მეტად უსიამოვნო „მარშრუტზე“ სჯობს ხვალ ვისაუბროთ: „ტურის მიმოხილვაში“ ეს მართლაც აქტუალური საკითხი „ჩაიკარგებოდა“...

**გია ტუხაშვილი**

● ინტერვიუ

# მე და მოურინიომ ვილაპარაკეთ...

## შოთა არველაძის შეგონება საქართველოს ნაკრებისთვის

**თურქული** სუპერლიგის 26-ე ტურში შოთა არველაძის განწრთნილმა „ქასიმფაშამ“ სტამბოლურ დერბიში „ბეშიქთაშს“ სტუმრად 3:1 მოუგო და ამ გუნდთან სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. „ბეშიქთაში“ ცხრილში მესამე ადგილზეა, შოთას გუნდი კი ორი საფეხურით ქვემოთაა და ევროპალიგაზე თამაშის უფლება რომ მოიპოვოს, მინიმუმ მეოთხე ადგილზე უნდა გავიდეს.

თურქეთის ჩემპიონატის დასრულებას რვა ტური უკლია და ჯერ ყველაფერი წინ არის, მანამდე კი „ლელოს“ კითხვებს შოთა არველაძე პასუხობს, ვისაც სტამბოლში დავურეკეთ...

**რა შანსი გვაქვს ფრანგებთან? მეტი სითამამე და აგრესია**



შოთა არველაძე

**- სტუმრად მოახერხეთ სახელოვანი მეტოქის დამარცხება. სწორი თამაშის გარდა, კიდევ რითი იყო განპირობებული „ქასიმფაშას“ ეს წარმატება?**

- მართლაც ორგანიზებულად ვითამაშეთ, კონცენტრაცია არ დაგვიკარგავს და ჩემმა ფეხბურთელებმა ტაქტიკური დავალება კარგად შეასრულეს. დაცვიდან თამაში არ გვინდოდა და ამიტომ მოწინააღმდეგეს მისსავე ნახევარზე აქტიურად ვბოჭავდით. ამან გაამართლა, გოლებიც დროულად გავიტანეთ და მერე ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ დასრულდა.

**- მიმდინარე სეზონში „გალათასარაის“ დამარცხებაც მოახერხეთ. ეს ყოველივე იმას უნდა ნიშნავდეს, რომ „ქასიმფაშა“ უკვე მზად არის ევროპალიგაზე სათამაშოდ.**

- „ქასიმფაშამ“ თურქული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოახერხა ასეთი რამ - სეზონში თურქეთის ხუთ ჩემპიონს მოუგო: „გალათასარაის“, „ბეშიქთაშს“, „ტრაბზონსფორს“, „ფენერბახჩეს“ და „ბურსასფორს“. ეს ჩვენი გუნდისთვის ისტორიული მოვლენაა.

**- თურქულ მასმედიაში რა გამოხმაურება მოჰყვა „ბეშიქთაშის“ დამარცხებას?**

- ამ თამაშზე მართლაც ბევრი დაიწერა. ჩვენი გუნდის თამაში დადებითად შეფასდა.

**- ეყოფა „ქასიმფაშას“ რესურსი იმისთვის, რომ თურქეთის ჩემპიონატის ოთხ საუკეთესო გუნდში მოხვდეს? საამისოდ გუნდს „გრძელი სკამი“ აქვს?**

- გუნდისთვის მთავარია კარგი ატმოსფერო, ერთსულოვნება, შემცვლელი კი ყველა ფეხბურთელს მოეძებნება. დიდი იმედი მაქვს, ოთხეულში მოვხვდებით. სულ რაღაც რვა ტური დარჩა და ვნახოთ...

**- „გალათასარაი“, რომელიც მიმდინარე სეზონში დაამარცხეთ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტი გახდა, თუმცა ამ ტურნირს, ალბათ, სხვა ფავორიტები ჰყავს. შოთა არველაძე რომელ გუნდს უწინასწარმეტყველებს წარმატებას ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში?**

- გუშინ, ჟოზე მოურინიო ვნახე და დაახლოებით 15 წუთი ვისაუბრეთ. აქ იყო ჩამოსული „გალათასარაის“ სანახავად. სანამ არსებობს „რეალი“ და მოურინიოც ცოცხალია, „ბარსელონასთან“ ერთად, ლიგის მოგების მთავარი კანდიდატი სამეფო კლუბია. ფავორიტებში აუცილებლად უნდა დავასახელო მიუნხენის „ბაიერნიც“.

**- 22 მარტს საქართველო საფრანგეთს ეთამაშება. რა არის ჩვენი შანსი ამ შეხვედრაში, რას უნდა ჩავებღაუჭოთ?**

- რთული თამაში გველის, თუმცა საფრანგეთი ესპანეთს არ ჰგავს. ფრანგებს ესპანელებივით როდი შეუძლიათ ბურთის ფლობა და კონტროლი. ვფიქრობ, საფრანგეთთან შეხვედრაში შეტევაში მეტი სითამამე და აგრესიულობა გვმართებს.

**- „ფონდი არველაძის“ საქმიანობაზეც გკითხავ. რა სიახლეებია ამ მხრივ?**

- ახალ პროექტებს ვამზადებთ, პარალელურად ახალი სტიპენდიანტებიც გვეყოლებიან. ძველ სტიპენდიანტებს მალე გზაზე დავაყენებთ. იმედია, დავით თარგამაძის და ლუკა ზარანდიას დარ ნიჭიერებს კიდევ ვიპოვით და მერე ყველანაირად შევუწყობთ ხელს.

**დავით თავართქილაძე**

● ინტერვიუ

# გია გურული:

# მოედანზე ყველა ჩემი შვილია

**საქართველოს** ჩემპიონატის ქვედა ექვსეულში საინტერესო ბრძოლები მიმდინარეობს, თუნდაც იმიტომ, რომ უმაღლესში ადგილის შესანარჩუნებლად ხუთი გუნდი იბრძვის. მხოლოდ ბოლოადგილოსანი ფოთის „კოლხეთის“ მდგომარეობაა უკიდურესად მძიმე.

ბათუმის „დინამო“ ბოლოსწინა ადგილზეა, წინა ტურში „ვიტ ჯორჯია“ შინ 2:0 დაამარცხა და მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოასწორა. ამ მოგებით ბათუმელები ხავსს უკვე აღარ ეჭიდებიან და სერიოზული ნაბიჯი გადადგეს სახიფათო ზონიდან თავის დასაღწევად.

ბათუმელებს გია გურული წვრთნის, ვინც სამწვრთნელო განათლება საფრანგეთში მიიღო, იყო ალენ ჟირესის თანაშემწე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

**- „ვიტ ჯორჯიასთან“ თანაბარი თამაში იყო და რის ხარჯზე მოახერხეთ მნიშვნელოვანი სამი ქულის მოპოვება?**

- თანაბარი თამაში იყო და არ შეიძლება იმის თქმა, რომ მოწინააღმდეგე დავჯაბნეთ. ვისაც უფრო გაუღიმებდა ბედი, ის გაიმარჯვებდა. ცხრილში „ვიტ ჯორჯიაზე“ ქვემოთ ვართ და, ალბათ, ამიტომაც ორმაგად მოტივირებულნი ვიყავით. თან პირველი ტაიმის ბოლოს მოვახერხეთ გოლის გატანა და ამ ფაქტორმაც შეგვიწყო ხელი - მეორე ტაიმში უფრო თავისუფლად ავთამაშდით. „ვიტ ჯორჯია“ ისეთი გუნდია, მოდუნებას რომ არ გპატიობს, არავინ იცის, როდის გაიტანს გოლს და ამ სეზონშიც არაერთი მოწინავე გუნდი გაამწარა.

**- ორივე გოლი ბესიკ ჩიმაკაძემ გაიტანა, რომელიც თქვენს გუნდში მოსვლამდე „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელი გახლდათ. ამ ტრანსფერით ერთიორად კმაყოფილი უნდა იყოთ - ჩიმაკაძემ ხომ ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრაში გამოიჩინა თავი...**

- ზამთარში განხორციელებული ყველა ტრანსფერით კმაყოფილი ვარ. გუნდში ახალწვეული რომ ამართლებს, მწვრთნელისთვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. „კატოვიცეში“ რომ ვთამაშობდი, პოლონეთში თბილისის „დინამო“ ჩამოვიდა შეკრებაზე, ვეთამაშეთ და ორი გოლი გავუტანე ჩემს ყოფილ გუნდს. თბილისის „დინამო“ განსაკუთრებულად მიყვარს, მაგრამ ყოფილ გუნდს რომ გაუტან გოლს, ეს ყოველთვის თავისებურად გსიამოვნებს. ჩიმაკაძესაც იგივე ვუთხარი, რათა „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში თავისუფლად ეგრძნო თავი, ეს თითქოს მცირე დამატებითი სტიმული იყო და მანაც ორი გოლი შეაგდო.



გია გურული

**- „ვიტ ჯორჯიასთან“ რომ ვერ მოგეგოთ, შანსი ფაქტობრივად აღარ რჩებოდა. ბათუმის „დინამო“ თითქმის განწირული იქნებოდა პირველ ლიგაში დაქვეითებისთვის...**

- თეორიული შანსი მაინც დაგვრჩებოდა. როცა ათიდან ერთი შანსი არსებობს, ბრძოლა უნდა გააგრძელო. „ვიტ ჯორჯიასთან“ ეს შეხვედრა მართლაც ძალიან პრინციპული იყო, ფაქტობრივად ფინალი, რომელიც მოვიგეთ. თუმცა დარჩენილი მატჩებიც ჩვენთვის ფინალივითაა და ასეთი თამაშების წაგება კარგი არ არის.

**- მომდევნო მატჩი ბოლნისში გელით. „სიონი“ მნიშვნელოვნად გაძლიერდა სეზონის მეორე ეტაპისთვის...**

- ბოლნისში თამაში ნებისმიერი გუნდისთვის რთულია. „სიონი“ ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ არაფრის დათმობას არ აპირებს. ბოლნისიდან მინიმუმ ქულა უნდა წამოვიღოთ. ბათუმის „დინამო“ არ არის ისეთ კომფორტულ მდგომარეობაში, რომ შეცდომის დაშვების უფლება ჰქონდეს.

**- საშუასეზონო პერიოდში ბათუმის „დინამოში“ სანდრო გურულიც ჩაირიცხა - საკუთარი ვაჟის გარჯით კმაყოფილი ხართ?**

- სანდრო სახლშია ჩემი შვილი, მოედანზე კი არავისგან გამოვარჩევ. მინდორზე ბათუმის „დინამოს“ ყველა ფეხბურთელი ჩემი შვილია. სანდრო ბევრს შრომობს, ჯერ არ არის საუკეთესო ფორმაში და მაქსიმალურად იხარჯება ისეთ კონდიციამდე მისასვლელად, როგორშიც გუნდის დანარჩენი ფეხბურთელები არიან.

**- ეროვნულ ნაკრებზეც გკითხავთ. რას გიგრძნობთ გული საფრანგეთთან 22 მარტს გასამართავი მატჩის წინ?**

- ამაზე რთულია ლაპარაკი... ბევრს ეგონა, რომ ესპანეთი დიდი ანგარიშით დაგვამარცხებდა, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს ჩემპიონს ქართველებზე გამარჯვება გაუძნელდა. ბოლო პერიოდს თუ გადავხედავთ, არაერთხელ მომხდარა, რომ საფრანგეთის ნაკრებს შინ ვერ დაუმარცხებია მასზე დაბლა მყოფი მეტოქე.

**- წარმოვიდგინოთ, რომ გია გურულია საქართველოს ნაკრების მწვრთნელი - საფრანგეთთან ვის ათამაშებდით თავდასხმაში?**

- არავის ეწყინება თუ ვიტყვი, რომ დღეს თავდასხმაში იმაზე მწირი არჩევანი გვაქვს, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. მწვრთნელი იმას უნდა ენდოს, ვინც კონკრეტულ მომენტში სხვაზე უკეთეს ფორმაშია.

**დავით თავართქილაძე**

● ლეგიონერები

## დარასელიას პირველი რუსული მარცხი

**გუშინ**, რუსეთის პირველ დივიზიონში **გიორგი დარასელიას** მიერ განწრთნილი "სკა-ენერგია" ნალჩიკის "სპარტაკს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა. ხაბაროვსკელთა ძირითად შემადგენლობაში ოთხი ქართველი იყო - **ლაშა სალუქვაძემ** და **გიორგი ნავალოვსკიმ** სრულად ითამაშეს, **შოთა გრიგალაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე** კი, შესაბამისად, 72-ე და 81-ე წუთებზე შეცვალეს. დარასელიას კიდევ ერთი შეგირდი - **გოჩა ხოჯავა**, თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო. სპარტაკელი **დავით სირაძე** მოედანზე 75-ე წუთზე შევიდა.

"სკა-ენერგიაც" და "სპარტაკიც" პრემიერლიგაში გადასასვლელად იბრძვიან. ელიტაში პირდაპირ აღზევება ორივეს გაუჭირდება, სამაგიეროდ, ამ კლუბებს პლეი ოფში მოხვედრის რეალური შანსი აქვთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ფეხბურთი

U17

# დილას შემდეგ სლოვაკეთია



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ავსტრიაში გამგზავრებამდე ბოლო ამხანაგური შეხვედრა გამართა. "ზენდელას" სტადიონზე **გიორგი დევდარიანის** გუნდი გორის "დილას" ახალგაზრდულ გუნდს დაუპირისპირდა და 3:1 გაიმარჯვა.

გოლები: **ხარაიშვილი, ჩაბრაძე, მარგველაშვილი.**
U17: **გოშაძე, თევზაძე, მარგველაშვილი, ტაბიძე, შულაია, მალანია, გოროზია, ხარაიშვილი, რუხაძე, ზარანდია, კერძევაძე.**
შეცვლაზე შევიდნენ: **პატარკაციშვილი, ბერიძე, ჩაბრაძე.**

მატჩის პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა. მეორე ტაიმში 17-წლამდელები გააქტიურდნენ. ანგარიში **გიორგი ხარაიშვილმა** გახსნა, რის შემდეგაც შეცვლაზე შესულმა **გრიგოლ ჩაბრაძემაც** გამოიჩინა თავი. წერტილი საქართველოს ნაკრების ცენტრალურმა მცველმა **გაგი მარგველაშვილმა** დასვა, რომელმაც **ლუკა ზარანდიას** ჩამოწოდებული კუთხურის შემდეგ, თავური დარტყმით დალაშქრა "დილას" კარი.

17-წლამდელთა ნაკრები საქართველოს ხვალ დატოვებს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდი 25 მარტს იწყება, მანამდე კი რამდენიმე დღეს დევდარიანის გუნდი სლოვაკეთში გაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U21

# გიორგი ილურიძე: იქნებ, ნაკრებში ადგილი დავიმკვიდრო


გიორგი ილურიძე

**გიორგი ილურიძემ** ახალგაზრდულ ნაკრებში სულ სამი შეხვედრა აქვს ჩატარებული. რთული სათქმელია, რას უნდა მივაწეროთ ეს უცნაურობა - ნაკრების წინა დამრიგებელთა გულგრილობას თუ სხვა რამეს.

გორის „დილას" 21 წლის შემტევმა ნახევარმცველმა „ანჟიში" ორი სეზონი გაატარა და მართალია, ძირითადად, დუბლშემადგენლობაში გამოდიოდა, რუსეთის პრემიერლიგაში ხუთი შეხვედრის ჩატარება მოასწრო. მან გორის დილაში" დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდაა. განახლებულ ჩემპიონატში ორი ტური ჩატარდა და ილურიძე გორის „დილას" ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა. „ზესტაფონთან" მოგებაში (2:1) დიდი წვლილი დაიდო და თბილისის „დინამოსთანაც" ურიგოდ არ გამოიყურებოდა.

არ უნდა დავივიწყოთ გიორგის შთამბეჭდავი სანაკრებო სტატისტიკა: 19-წლამდელთა ნაკრებში ჩატარებულ სამ შეხვედრაში მეტოქეთა კარი ხუთჯერ აილო, ხოლო ახალგაზრდულში გამართულ სამ მატჩში – ორჯერ!

**ალექსანდრე ჩივაძემ** ავსტრიაში ახალგაზრდული ნაკრები უკვე წაიყვანა, სადაც შეკრებას გამართავს და საკონტროლო მატჩებში (ალბანეთთან, ხორვატიასთან და აზერბაიჯანთან) საინტერესო მოთამაშეებს გამოსცდის.

ჩივაძეს არც თვალი ღალატობს და არც ობიექტურობა და გამოძახებულთა შორის გორის „დილას" მოთამაშეც დაასახელა.

*„მიწვევებით განებივრებული არ ვყოფილვარ და ამიტომაც, ბატონი საშას დაინტერესებამ ძალიან გამახარა. სულ ნაკრებში სამი თამაში დამიგროვდა - ეს არის და ეს. იმედია, ავსტრიულ შეკრებაზე თავის გამოჩენასა და გუნდში დამკვიდრებას მოვახერხებ. ეს ჩემი შანსია და აუცილებლად უნდა გამოვიყენო. სხვათა შორის, გუნდის შემადგენლობას თუ გადავხედავთ, საინტერესო ნაკრები შეიკრიბა. მიმაჩნია, რომ პერსპექტიული ჯგუფი ყალიბდება და ახალ შესარჩევ ციკლში ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოვყალიბდებით"* – ამბობს ილურიძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ხიზანიშვილი: ტრანსფერი საფრანგეთის მერე გადაწყდება



ზურაბ ხიზანიშვილი

„ფოტომაჩი" და „გუნებაკი" ის თურქული გამოცემებია, რომლებმაც **ზურაბ ხიზანიშვილზე** შემდეგი ინფორმაცია გაავრცელეს - „ქაისერის" ცენტრალური მცველი ზაფხულში კლუბს შეიცვლის. მათი მტკიცებით, 31 წლის ქართველი ლეგიონერი „ტრაბზონმა" მიიწვია და ტრანსფერის საკითხი უკვე შეთანხმებულია.

გარდა იმისა, რომ ხიზანიშვილის მიმართ ტრაბზონელებს წმინდა სპორტული ინტერესი გააჩნიათ, ადამიანური ფაქტორიც არსებობს - მათი მთავარი მწვრთნელი **თოლუნაი ქაფქასი** 2008 წელს, თბილისში **შოთა არველაძის** გაცილების მატჩში მონაწილეობდა და ზურას იქ დაუახლოვდა.

„ტრაბზონის" დამრიგებელმა დაადასტურა კიდეც, რომ ხიზანიშვილით არის დაინტერესებული. თურქული მედიის ცნობით, ტრანსფერზე ქართველმა ლეგიონერმაც განაცხადა წინასწარი თანხმობა და ეს ასე ახსნა - „ტრაბზონსფორი" თუნდაც იმიტომ მირჩევნია, რომ საქართველოსთან ახლოს არისო.

„ქაისერის" მცველს ამ ამბის კომენტარი ვთხოვეთ და მან საკმაოდ ორაზროვანი პასუხი გაგვცა: *„დიახ, კონტრაქტი მართლაც სეზონის ბოლოს მიმთავრდება. მაგრამ ჯერ „ტრაბზონთან" დაკავშირებით რეალური არაფერი ხდება. იმაზეც ნაადრევია ლაპარაკი, სეზონის შემდეგ „ქაისერიდან" წავალ თუ არა. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი 22 მარტს - საფრანგეთისა და ჩვენი ნაკრების შეხვედრის შემდეგ უნდა გადაწყდეს. მერე ვიტყვი, დავრჩები თუ სხვაგან გადავალ".*

წელს „ტრაბზონსფორი" ის გუნდი აღარ არის, რაც ადრე იყო. თურქულ სუპერლიგაში გუნდი მე-13 ადგილზეა, 31 ქულა აქვს და გასავარდნ ზონაში მყოფ „ორდუს" სულ ორი ქულით უსწრებს. მოკლედ, „ტრაბზონი" ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის და საკმარისია ერთი წაფორხილება, რომ დიდი ტრადიციების მქონე კლუბი უფსკრულში აღმოჩნდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია

# დილა გორში სიმურგს მიიღებს


გიორგი ჩიხრაძე

გორის „დილა" საქართველოს ნაკრების მატჩით წარმოქმნილ პაუზას გამოიყენებს. აზერბაიჯანული ინტერნეტ-პორტალის - „აზერისპორტის" ცნობით, 23 მარტს საქართველოს თასის მფლობელი აზერბაიჯანის პრემიერლიგის ერთ-ერთ ლიდერ ზაქათალის „სიმურგს" შეხვდება.

თუმცა, ჯერ ინფორმაცია დაუზუსტებელია. საქმე ისაა, რომ გორელებს შეხვედრის 22 მარტს გამართვა სურთ, სტუმრებს კი 23 მარტი აწყობთ. ასევე არასწორია „აზერისპორტის" ცნობა, თითქოს, შეხვედრას თბილისი უმასპინძლებს. აზერებს დედაქალაქში თამაში სურთ, „დილას" თავკაცებს კი - გორში.

ამ საკითხის დასაზუსტებლად თბილისში იმყოფებოდა „სიმურგის" მთავარი მწვრთნელი, **გიორგი ჩიხრაძე**. მისი თქმით, ზაქათალური კლუბი თბილისში ხუთდღიან შეკრებას გეგმავს.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

# ხოჭოლავა სამ კვირაში დაბრუნდება

გულშემატკივრებისთვის ცნობილია, რომ თბილისის „დინამოს" ცენტრალური მცველი **დათა ხოჭოლავა** ცოტა ხნის წინ კვლავ საოპერაციო გახდა.

20 წლის ფეხბურთელი 3 მარტს გუნდის ვარჯიშზე დაშავდა, დაზიანება კი სერიოზული აღმოჩნდა – მას მარჯვენა ტერფის ძვლის მოტეხილობა დაუდგინეს და 10 მარტს, „დინამოს" მთავარი ექიმის **მერაბ ვარძუკაშვილის** მეთვალყურეობით ოპერაცია ჩაუტარდა.

საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად წარიმართა, დათა თავს კარგად გრძნობს და კლინიკიდან უკვე გამოწერეს. როგორც თავად გვითხრა, რეაბილიტაციის პერიოდი სამ-ოთხ კვირას გასტანს და ამის შემდეგ ინდივიდუალურ ვარჯიშს დაიწყებს.

სამწუხაროდ, ტრავმის გამო ხოჭოლავა ახალგაზრდულ ნაკრებს ავსტრიულ შეკრებაზე ვერ გაჰყვება და იქ დაგეგმილ შეხვედრებსაც (ალბანეთთან, ხორვატიასთან და აზერბაიჯანთან) გამოტოვებს.

**მერაბ მამულაშვილი**



დათა ხოჭოლავა (მარცხნივ)

ფუტსალი

# საქართველომ აზერბაიჯანი დაამარცხა

საქართველოს ნაკრები 16 მარტიდან ბაქოში ემზადება, გუშინ კი ამხანაგური შეხვდა აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდს, რომელთანაც 11 წელია არ მოგვიგია.

ჩვენს მეზობლებს ბრაზილიელი **ჟოზე ალეზიო** წვრთნის და მას საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავს, რომლის ბირთვს ექვსი ნატურალიზებული ბრაზილიელი შეადგენს. აზერებს არც ფინანსურად უჭირთ, მომზადებაშიც ყველანაირად ხელს უწყობენ და ლამის მთელი წელი საერთაშორისო შეხვედრებს ატარებენ. ასე მაგალითად, იანვრის ბოლოს შეკრება მოსკოვში ჩაატარეს, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს ორჯერ შეხვდნენ და ერთხელ 2:2 ითამაშეს.

თებერვლის შუა რიცხვებში ბაქომ პოსტსაბჭოელთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, სადაც მასპინძელთა ორმა ნაკრებმა, ბელარუსმა, ლატვიამ, უზბეკეთმა და მოლდოვამ ითამაშეს. ფინალში აზერბაიჯანმა ელიტ რაუნდში ჩვენი მომავალი მეტოქე ბელარუსი 2:1 დაამარცხა.

გუშინდელ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა აზერბაიჯანთან ნავსი გატეხა: პირველი ტაიმის მე-7 წუთზე მასპინძელი დაწინაურდა. ტაიმის მიწურულს წონასწორობა **დავით ბობოხიძემ** აღადგინა - 1:1. მეორე ნახევარში კი ბაქოს „ეკოლ"-ის მოთამაშემ **არჩილ სებისკვერაძემ** უძლიერესი დარტყმით დაგვაწინაურა - 2:1.

მატჩის მსვლელობისას კურიოზი მოხდა: თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე სებისკვერაძემ აზერბაიჯანელთა კარი მესამედ აილო. მსაჯმა გოლი არ ჩაგვითვალა და ... ჩვენ კარში 10-მეტრიანი დანიშნა! მაგრამ წლეულს ბაქოს „ნეფთჩიში" გადასულმა მეკარე **ჯაბა ჯამბურიამ** ბურთი მოიგერია და დამსახურებული მოგება შეგვინარჩუნა.

შეგახსენებთ, რომ **ავთანდილ ასათიანის** და **ბესო არველაძის** შეგირდები აზერბაიჯანში იქაური ფედერაციის მოწვევით გაემგზავრნენ და აზერბაიჯანის ნაკრებთან მეორე ამხანაგურ მატჩს დღეს გამართავენ.

ჩვენი გუნდი საქართველოში 20 მარტს დაბრუნდება, უეფას ელიტრაუნდისთვის მზადებას თბილისში გააგრძელებს, ხოლო 24 მარტს ამსტერდამში გაემგზავრება. ჰოლანდიაში ელიტრაუნდის პირველ მატჩი საქართველოს ნაკრებს 27 მარტს ჩეხებთან ელის, 28 მარტს - ჰოლანდიასთან, 30 მარტს - ბელარუსთან.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXX ტურის შეჯამება.

# ჰოლივუდის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით

პრემიერლიგის 30-ე ტურში დაფიქსირებულმა შედეგებმა რამდენიმე ფრონტზე სიტუაცია უკიდურესად დაძაბა. „ტოტენჰემის“ წაგების გამო, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში „ევერტონიც“ კი დაბრუნდა, მოიგო „უიგანმა“ და „ასტონ ვილასთან“ 3-ქულიანი დისტანცია შეინარჩუნა.

ზოგადად კი ამ ტურში იყო კომედიაც, დრამაც, თრილერიც და ფანტასტიკაც. მოკლედ, ყველაფერი ის, რის გამოც გვიყვარს კიდეც პრემიერლიგა. თუმცა, თავიდან ერთი არასასიამოვნო ამბავი...

## ინტრიგა საბოლოოდ მოკვდა

რა თქმა უნდა, საჩემპიონო ინტრიგას ვგულისხმობთ, რომელიც ისედაც სულს ლაფავდა, 30-ე ტურის შემდეგ კი შეგვიძლია ოფიციალურად გარდაცვლილად გამოვაცხადოთ. მანჩესტერის ორ გუნდს სეზონის დასრულებამდე 9 მატჩი დარჩა, მათ შორის სხვაობა კი უკვე 15 ქულაა, ანუ „სიტიმ“ ყველა მატჩი რომც მოიგოს, „იუნაიტედს“ მე-20, საიუბილეო ტიტულის მოსაპოვებლად 4 მოგება და 1 ფრეც ეყოფა. მართალია, სერ ალექს ფერგიუსონის გუნდს უახლოეს 4 ტურში რთული მატჩები ელის („სანდერლენდი“, „სტოკი“ და „ვესტ ჰემი“ სტუმრად, შინ კი „სიტის“ მასპინძლობს), მაგრამ გვეეჭვება, „წითელმა ეშმაკებმა“ თანაქალაქელი ცხრილში თუნდაც ახლოს გაიკარონ.

„რედინგთან“ შეხვედრაში ერთადერთი გოლი **უეინ რუნიმ** გაიტანა, რომელიც 27 წლის ფორვარდისთვის პრემიერლიგაში 156-ე იყო. „როიალსმა“ ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო და ძნელი წარმოსადგენია, **ბრაიან მაკდერმოტის** ყოფილი კლუბი ლიგაში დარჩეს.

## კომედია

35 წლის ინგლისელმა კომიკოსმა **საიმონ ბროდკინმა**, „ევერტონი“-“მანჩესტერ სიტის“ მატჩის დაწყების წინ, სტუმართა სავარჯიშო ფორმაში გამოწყობილმა, „გუდისონ პარკის“ მინდორზე შეაღწია და გუნდთან ერთად მოთელვაც მოასწრო, ხოლო როდესაც მატჩისწინა ვარჯიშში აქტიურად ჩაერთო, „თანაგუნდელებმა“ მასში თაღლითი ამოიცნეს და ბროდკინი სტადიონიდან მიაბრძანეს. „სიტის“ ფეხბურთელებმა ამ ყველაფრის გამო ძალიან კი იხალისეს, მაგრამ უშუალოდ მატჩის დროს განვითარებულმა მოვლენებმა, მათ ხასიათი წაუხდინა.

**დევიდ მოიესმა რობერტო მანჩინი** კიდევ ერთხელ დაამარცხა (ამ მწვრთნელების 8 შეხვედრიდან, შოტლანდიელმა 6 მოიგო და მხოლოდ 1 წააგო) და საკუთარ გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლის შანსი შეუნარჩუნა. „ევერტონმა“ „სიტის“ შინ ზედიზედ მეოთხედ მოუგო, ასეთი რამ კი ბოლოს 92 წლის წინ მოხდა. მასპინძელთა ერთ-ერთი ლიდერი **ლეონ ოსმანი**, საკუთარი გუნდის რიგებში მე-300 შეხვედრას ატარებდა და 31 წლის ფეხბურთელმა იუბილე ულამაზესი გოლით აღნიშნა. არანაკლებ ლამაზი გამოვიდა **ნიკიცა იელავიჩის** ბურთი, რომელიც ხორვატმა ბოლო წუთზე გაიტანა. სხვათა შორის, იელავიჩსაც იუბილე ჰქონდა, ოღონდ შედარებით მოკრძალებული: ფორვარდმა „ევერტონის“ რიგებში 50-ე შეხვედრა გამართა.



კალუმ მაკმანამანის დაუჯერებელი უხეშობა

## დრამა

„უიგანის“ და „ნიუკასლის“ შეხვედრაში, მასპინძელთა 21 წლის ნახევარმცველმა **კალუმ მაკმანამანმა** არაადამიანურად იუხეშა. მისი მსხვერპლი ცვლილებაზე შემოსული 20 წლის **მასადიო აიდარა** გახდა. უხეშობის მომენტი იმდენად აშკარა და საზარელი იყო, რომ ყველა მაკმანამანის გაძევებას ელოდა, მაგრამ არბიტრმა (**მარკ ჰალსი**) არამარტო წითელი, ან ყვითელი ბარათი არ ამოიღო, ჯარიმაც კი არ დანიშნა. აიდარამ თამაშის გაგრძელება, რა თქმა უნდა, ვერ შეძლო, ის უმალ საავადმყოფოში წაიყვანეს და წინასწარი დიაგნოზით, ახალგაზრდა ფრანგს ჯვარედინი მყესები უნდა ჰქონდეს გაწყვეტილი, რაც ნიშნავს იმას, რომ სეზონი მისთვის დასრულდა.

ამ შეჯახების სურათს აქვე გთავაზობთ და თავად განსაჯეთ, რამდენად ადეკვატური იყო ჰალსის მოქმედება და რამდენად ადეკვატური იყო **ალან პარდიუ** მატჩის შემდეგ:

*„ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგან ამ საშინელ შეჯახებას რეაქცია არ მოჰყოლია. გარდა ამისა თამაში ბოლო წუთზე წავაგეთ და ჩემი აზრით, გოლამდე მასპინძელთა ფეხბურთელმა ხელით ითამაშა,“* – განაცხადა 51 წლის სპეციალისტმა.

ჰო, ეს ჯერ არ გვითქვამს, მაგრამ პარდიუმ „დაგვასწრო“: ბოლო წუთზე, გამარჯვების მომტანი გოლი **არუნა კონემ** მას შემდეგ გაიტანა, რაც ბურთი **მეინორ ფიგეროას** ხელზე მოხვდა. მოკლედ, მარკ ჰალსიმ ჯორდები აშკარად დაჩაგრა.

## თრილერი

„ვილა პარკზე“ ტურის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი გაიმართა. ე.წ. 6-ქულიან შეხვედრაში ერთმანეთს „ასტონ ვილა“ და „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ შეხვდნენ და მატჩმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ჯერ „ქუინზ პარკი“დაწინაურდა, შემდეგ წინ უკვე „ასტონ ვილა“ გავიდა, ამას ანგარიშის გათანაბრება და კვლავ „ასტონ ვილას“ დაწინაურება მოჰყვა. **კრისტიან ბენტეკეს** მიერ 81-ე წუთზე გატანილი გოლი საბოლოო გამოდგა და **პოლ ლამბერტის** გუნდი კვლავ სამშვიდობო ზონაშია, თუმცა „უიგანს“ მხოლოდ სამი ქულით უსწრებს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **ჯერმეინ ჯენასის** გოლი – ვეტერან ნახევარცმველს წინა ტურამდე, პრემიერლიგაში გოლი თითქმის 4 წლის განმავლობაში არ ჰქონდა გატანილი, ახლა კი ზედიზედ მეორე შეხვედრაში გაიტანა. ასევე ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა **ანდროს ტაუნსენდმა** და მის შემთხვევაში გამოსარჩევია ის ფაქტი, რომ 21 წლის ფეხბურთელს უმაღლეს დივიზიონში თავი მეტჯერ არც გამოუჩენია.

შესანიშნავი მატჩი ჩაატარა **ანდრეას ვაიმანმა** – 20 წლის ავსტრიელმა ერთი გოლი გაიტანა და ბენტეკესაც საგოლე პასი გაუკეთა. კარგი თამაშის წყალობით, ვაიმანი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც კი მოხვდა.

## ფანტასტიკა

200 გოლი ერთი კლუბის მაისურით – შესანიშნავი შედეგია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რომ ამ რაოდენობის გოლები ნახევარმცველმა გაიტანა, შედეგი შესანიშნავი კი არა, ფანტასტიკური და დაუჯერებელია. **ფრენკ ლამპარდზე** და მის საოცარი მიღწევაზე ცალკე სტატია გვაქვს, აქ კი უბრალოდ გეტყვით, რომ „სუპერ ფრენკმა“ პრემიერლიგაში თავისი 162-ე გოლი ყოფილი გუნდის, „ვესტ ჰემის“ კარში გაიტანა.

ძალიან რომც გვინდოდეს, **ედენ აზარის** შესანიშნავ გოლს, რომელმაც საბოლოო შედეგი დააფიქსირა, გვერდს ვერ ავუვლით. 22 წლის ბელგიელის გოლის აღწერისას, მხოლოდ ერთი სიტყვის ხმარებაც კმარა: „ფანტასტიკა“.

## London Calling

ამ ტურში ორი ლონდონური დერბი იყო. ერთში „ჩელსიმ“ „ვესტ ჰემს“ მოუგო და ამაზე უკვე ვისაუბრეთ. მეორე კი „უაით ჰართ ლეინზე“ გაიმართა და მოულოდნელად, „ფულჰემის“ გამარჯვებით დასრულდა. გაგრძელდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, თუ **დიმიტარ ბერბატოვს** გააქვს, „ფულჰემი“ არ აგებს – ბულგარელმა სეზონში მე-11 გოლი გაიტანა, სულ კი თავი 9 შეხვედრაში გამოიჩინა და ამ 9 მატჩიდან, „ფულჰემმა“ 5 მოიგო და 4 ფრედ დაასრულა. ჰო, ლამპარდის არ იყოს, ბერბამაც ყოფილი გუნდის კარი დალაშქრა და გოლის აღნიშვნისგან თავი მაქსიმალურად შეიკავა.

**მარტინ იოლმა** ყოფილი გუნდი სტუმრად დაამარცხა, ასეთი რამ კი „კოტეჯელებს“ ბოლოს 10 წლის წინ ჰქონდათ გაკეთებული – 2003 წელს „ფულჰემმა“ 3:0 მოიგო, მას შემდეგ „ტოტენჰემს“ შინ 6 მატჩი ჰქონდა მოგებული, 2 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. ეს კი არა, ბოლო 10 წლის განმავლობაში, „ფულჰემს“ „უაით ჰართ ლეინზე“ მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი და ის შეხვედრაც გუნდმა 1:5 წააგო (2007 წელს თავი უკვე „ტოტენჰემელმა“ **კლინტ დემპსიმ** გამოიჩინა).

მოკლედ, მორიგი ორი ლონდუნური დერბის შემდეგ, „ლონდონის ჩემპიონატში“ სიტუაცია დაიძაბა.

ამ მომენტისთვის, ცხრილში ასეთი სიტუაციაა:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 9 | 5 | 1 | 3 | 17-15 | 16 |
| 2. ჩელსი | 8 | 4 | 2 | 2 | 11-8 | 14 |
| 3. არსენალი | 8 | 4 | 1 | 3 | 20-13 | 13 |
| 4. ვესტ ჰემი | 10 | 3 | 1 | 6 | 15-22 | 10 |
| 5. ქუინზ პარკი | 8 | 2 | 3 | 3 | 6-7 | 9 |
| 6. ფულჰემი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-12 | 8 |

აქვე ვთქვათ, რომ შარშან გამარჯვება „ტოტენჰემმა“ მოიპოვა, „ჩელსი“ კი ბოლოზე გავიდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ჩელსის“ ორი შეხვედრა აქვს ჩასატარებელი, თანაც იქიდან ერთში „ტოტენჰემს“ მასპინძლობს, ჩემპიონობის საუკეთესო შანსი სწორედ **რაფაელ ბენიტესის** გუნდს აქვს.

**ბომბარდირები:**

22 ლუის სუარესი (ლივერპული).
19 რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნ.).
16 გარეთ ბეილი (ტოტენჰემი).

**ასისტენტები:**

10 – ხუან მატა (ჩელსი)
9 – სტივენ ჯერარდი (ლივერპული), ლუკას პოდოლსკი (არსენალი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), თეო უოლკოტი (არსენალი).
8 – რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), ედენ აზარი (ჩელსი).

**5 საუკეთესო ფეხბურთელი EA SPORTS-ის მიხედვით:**

1. რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი).
2. გარეთ ბეილი (ტოტენჰემი).
3. ხუან მატა (ჩელსი).
4. ლუის სუარესი (ლივერპული)
5. პატრის ევრა (მანჩესტერ იუნ).

ტატო ბაციკაძე

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




მოსაზრება

## ძოლა ჩელსიზე



ჩემპიონშიპის „უოტფორდს“ თანადივიზიონელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მოკრძალებული ბიუჯეტი აქვს, მაგრამ **ჯანფრანკო ძოლას** ხელმძღვანელობით ის მაინც ახერხებს ბრძოლას პრემიერლიგაში გადასასვლელად. ამჟამად გუნდი მესამე ადგილზეა, რაც პლეიოფის საგზურს იძლევა. სხვაობა მეორეადგილოსან „ჰალ სიტისთან“ მხოლოდ 2 ქულაა. 46 წლის იტალიელი სპეციალისტის წარმატებულმა მუშაობამ პრემიერლიგის გუნდების ყურადღება მიიპყრო. ბრიტანული პრესა მას „ჩელსიში“ დანიშვნის ერთ-ერთ კანდიდატად ასახელებს. იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი „სტემფორდ ბრიჯზე“ 1996/2003 სეზონებში თამაშობდა და ლურჯი მაისურით 250-ზე მეტი თამაში ჩაატარა.

*„ძალიან მინდა, გიპასუხოთ „ჩელსიში“ ჩემს შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებულ ხმებზე, მაგრამ არ შემიძლია, რადგან ეს არ იქნებოდა კარგი საქციელი იმ ადამიანებისთვის, ვის გვერდითაც ვმუშაობ,“* - აცხადებს ძოლა.

ლევან ბიბილაშვილი

უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტურის შეჯამება

# პაპი და იუპი


რომის პაპი და იუპ ჰაინკესი

**თუ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ბავარიელებს უნდათ, მიუნხენის „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონობას მომდევნო ტურში გაინაღდებს. შესაბამისად, თვითონაც დაისვენებს და ჩვენც დაგვასვენებს. თუმცა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონი ჯერ არ მთავრდება - რჩება ინტრიგა ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის, ევროპალიგის ზონაში მოხვედრისთვის და ბოლოდან მესამე ადგილის დაკავებისთვის ბრძოლაში.**

## შაჰინის დღე

*„დღეს ჩემი ვაჟი პირველად იყო სტადიონზე და ვალდებული ვიყავი, რომ კარგად მეთამაშა,"* - თქვა „ფრაიბურგთან" 5:1-ზე მოგებული თამაშის შემდეგ დორტმუნდის „ბორუსიას" თურქმა ნახევარმცველმა **ნური შაჰინმა**. შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა შაჰინების ოჯახში, ნურის ცუდად რომ ეთამაშა: ბავშვი მთელი ღამე არ დაიძინებდა და შესაბამისად, მამასაც არ დააძინებდა. თუმცა ნურიმ საუკეთესო მატჩი ჩაატარა მას მერე, რაც დორტმუნდში დაბრუნდა (დუბლი „ფრაიბურგთან") და ფაქტია, რომ პატარა მთელი ღამე მშვიდად იძინებდა. ახალმა მამებმა იციან, რას ნიშნავს ეს, შაჰინის ვაჟი კი ერთი წლისაა...

## ლევანდოვსკის რეკორდი

რეკორდი ისეთი რამეა, შეიძლება, ორ დღეში ყველას დაავიწყდეს და მერე მარტო მაშინ გაიხსენონ, როცა ამ რეკორდს სხვა დაამხობს. თუმცა „დორტმუნდის" გოლეადორ **რობერტ ლევანდოვსკის** შემთხვევაში დარწმუნებულები ვართ, რომ სხვანაირ რეკორდთან გვაქვს საქმე - ისეთთან, რომელსაც ხშირად გაიხსენებენ. „ფრაიბურგთან" მატჩში პოლონელმა თავდამსხმელმა მორიგი დუბლი შეასრულა და ისე გამოვიდა, ბუნდესლიგის ზედიზედ რვა შეხვედრაში მინიმუმ ერთი გოლი გააქვს, რაც „ბორუსიაში" ახალი რეკორდია.

აქამდე ამ რეკორდს ლეგენდარული **ტიმო კონიტცკა** (1964/65 წლების სეზონი) ფლობდა (მინიმუმ ერთი გოლი ზედიზედ შვიდ შეხვედრაში) და აქვე იმასაც გაგახსენებთ, რომ კონიტცკა ის კაცია, ვინც ბუნდესლიგის ისტორიაში პირველი გოლი გაიტანა, რაც უკვდავი რეკორდია.

## ის ლატვიელი ჰამბურგიდან

სეზონის დასაწყისში მთელი საფეხბურთო გერმანია „ჰამბურგის" ლატვიელ თავდამსხმელ **არტიომ რუდნევსს** დასცინოდა. მიზეზი გასაგებია: ფორვარდი, რომელსაც ჩრდილოგერმანული კლუბის მთავარი მწვრთნელი **ტორსტენ ფინკი** მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ათამაშებდა და ათამაშებს, ძალიან ბევრ რეალურ საგოლე მომენტს აფუჭებდა. თუმცა რუდნევსი ბოლო დროს გამოსწორდა და ის-ის იყო, ჩვენი გერმანელი კოლეგები მის მართლა კარგ თავდამსხმელად აღიარებაზე დაფიქრდნენ, რომ ლატვიელმა ისევ აურია. შაბათს, „აუგსბურგთან" საშინაო მატჩში, რომელიც „ჰამბურგს" ლოგიკურად უნდა მოეგო, რუდნევსმა სამი ისეთი მომენტი გაანიავა, ნებისმიერ გაცილებით დაბალი რანგის ფორვარდსაც რომ გაუკვირდებოდა. შედეგი: „ჰამბურგი" „აუგსბურგთან" 0:1 დამარცხდა და ჩვენც თამამად ვამბობთ, რომ ფინკის გუნდს ევროპალიგაშიც კი არაფერი ესაქმება. რაც შეეხება რუდნევსს: მას გერმანიაში აღიარება, უბრალოდ, არ უწერია.

## აუგსბურგის ნატვრის თვალი

**იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერს** ძალიან საინტერესო სახელი და გვარი რომ აქვს, ეს დიდი ხანია, ვიცით. ახლა კი ეს აყლაყუდა მცველი მართლა საინტერესო ფეხბურთელადაც ყალიბდება. კალსენ-ბრაკერი ერთი ხანობა დიდხანს ფიქრობდა რაიმე საინტერესო ფსევდონიმზე, მაგრამ ორიგინალური ვერაფერი მოიფიქრა. თუმცა მაშინ „ლევერკუზენის" ფეხბურთელი იყო, ახლა კი „აუგსბურგის" მოთამაშეა და შესაძლოა, თავის კარიერაზე ხელიც კი ჰქონდა ჩაქნეული. „ჰამბურგის" კარში გატანილი გამარჯვების გოლი მისთვის „აუგსბურგის" ფორმით არც პირველი იყო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არც უკანასკნელი იქნება. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ იან-ინგვერი ცენტრალური მცველია, რომელსაც მხოლოდ ხანდახან ათამაშებენ ხოლმე ოდნავ წინ - საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე. და მას „აუგსბურგის" ფორმით ჩატარებულ 67 მატჩში 7 გოლი აქვს გატანილი.

## სასოწარკვეთილი ბრემენი

„ვერდერი" არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინო სეზონს ატარებს. ამბიციური ბრემენული კლუბი 26 ტურის შემდეგ მე-14 ადგილზეა და ამ სეზონში ყველაზე მეტი, უკვე 51 გოლის გაშვება მოასწრო. ამ ფონზე გასაკვირი სულაც არაა ის, რომ „ვერდერს" ბოლოადგილოსანმა „ფიურტმაც" კი ორი გოლი გაუტანა. „მუსიკოსები" 70-ე წუთამდე აგებდნენ და როდესაც **აარონ ჰანტმა** ანგარიში პენალტით (პირველიც პენალტით გაიტანა) გაათანაბრა, „ვერდერის" ფანებმა აღარ იცოდნენ, გახარებოდათ, თუ სწყენოდათ მომხდარი, რადგან ბრემენში უკვე ბევრი ფიქრობს, რომ რაც უფრო გაუარესდება „ვერდერის" შედეგები, მით უფრო გაიზრდება ზაფხულში ძირეული ცვლილებების განხორციელების შანსი. ბრემენელ ფანებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: „ფიურტთან" 2:2 **თომას შაафს** აქტივში ნაღდად არ ჩაეთვლებოდა.

## დაწყევლილი 40 ქულა

ცნობილია, რომ ბუნდესლიგაში დაახლოებით 40 ქულაა საჭირო იმისათვის, რომ გუნდი მეორე ბუნდესლიგაში არ დაქვეითდეს და ფრანკფურტის „აინტრახტსაც" სწორედ ეს რიცხვი სტანჯავს. არა იმიტომ, რომ ფრანკფურტელებს მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ („აინტრახტი" გადარჩენილია), არამედ იმის გამო, რაც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ცოტა ხნის წინ თქვა. საქმე იმაშია, რომ **არმინ ფეეს** „შალკეში" დანიშვნას უწინასწარმეტყველებენ და დღემდე გაურკვეველია, დარჩება თუ არა ფრანკფურტში. ახლო წარსულში ფეემ განაცხადა, სანამ 40-ქულიან ბარიერს არ გადავლახავთ, ჩემს მომავალზე საუბარს არ ვაპირებო. ცუდი ისაა, რომ მას მერე „აინტრახტი" ქულებს ველარ აგროვებს, კვირას კი „შტუტგარტთან" დამარცხდა და 39 ქულაზეა გაყინული.

## ჰაინკესი პენსიაზე არ გავა?

„ბაიერნს" კი „ვერცხლის სინამდე" უკვე მხოლოდ ერთი ნაბიჯიღა აშორებს. თუ „დორტმუნდი" მომდევნო ტურში ქულებს დაკარგავს, ბავარიელები კი „ჰამბურგს" დაამარცხებენ, რეკორდმაისტერი ორწლიანი პაუზის შემდეგ გერმანიის ჩემპიონობას დაიბრუნებს. მიუნხენური გრანდი 23-ედ გახდება გერმანიის ჩემპიონი, **იუპ ჰაინკესი** კი ყველა ჩემპიონ მწვრთნელზე ასაკოვანი სპეციალისტი იქნება - „დონ იუპი" 67 წლისაა. აქამდე ეს რეკორდი 1982 წელს ფიშკენ მულტჰაუპს ეკუთვნის, რომელმაც 1965 წელს ბრემენის „ვერდერს" ჩემპიონობა 61 წლის ასაკში მოაპოვებინა.

წესით, ჰაინკესი ამ სეზონის დასრულებისთანავე პენსიაზე უნდა გასულიყო, მაგრამ დიდ ფეხბურთში დარჩენაზე სერიოზულად ფიქრობს, რაც შაბათს, გადაცემა „ლიგა ტოტალში" დაადასტურა: *„როცა ვხედავ, რომ აბენაუერი 71 წლის ასაკში გახდა გერმანიის კანცლერი, ხოლო ჩვენი პაპი კი 76 წლის ასაკში აკურთხეს, ვფიქრობ, მაქვს იმის უფლება, რომ პენსიაზე გასვლა გადავდო,"* - აღნიშნა ჰაინკესმა. იუპი 9 მაისს 68 წლის ხდება და სხვათა შორის, „ბაიერნის" ხელმძღვანელებს კლუბში ფუნქციონერის რანგში დარჩენაზე უკვე უარი უთხრა...

**გოტფრიდ ლენცი**

8 ტურია, რობერტ ლევანდოვსკი მოედანს უგოლოდ არ ტოვებს


ამბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

## როჯერსი შეგირდებს იცავს

„საუთჰემპტონი"-„ლივერპულის" (3:1) დასრულების შემდეგ მასმედიამ მერსისაიდელებს კრიტიკის ნიაღვარი დაატეხა თავს. განსაკუთრებით „მოხვდათ" ცენტრალურ მცველებს **მარტინ შკრტელსა** და **დანიელ აგერს**. **ბრენდან როჯერსს** მიაჩნია, რომ ნაგებაში მხოლოდ მათი დადანაშაულება არალოგიკურია, რადგან „სენტ მერიზე" მთელი გუნდი ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. *„დიახ, ძალიან ცუდად ვიცავდით თავს, მაგრამ ამას ვაკეთებდით როგორც გუნდი. ნაგებაში მხოლოდ შკრტელისა და აგერის დადანაშაულება არ შეიძლება. ბოლო პერიოდში უცნაური ტენდენცია დაგვჩემდა. ან საერთოდ არ ვუშვებთ გოლს, ან კიდევ ერთბაშად 2-3 ბურთს გვიტანენ. ძალიან მნიშვნელოვანია, ყველას ესმოდეს, რომ „ლივერპულის" დაცვის ხაზი მეტოქის ნახევარზე იწყება,"* – განაცხადა 40 წლის ჩრდილოირლანდიელმა.

## სუონსი ესპანურ ბაზარს ენდობა

ესპანური „მარკას" ცნობით, „სუონსი" ზაფხულზე გუნდის გაძლიერებას ძირითადად ესპანურ სატრანსფერო ბაზარზე შეეცდება. ერთ-ერთი, ვის გადაბირებასაც „გედები" გეგმავენ, „ხეტაფეს" 28 წლის ალჟირელი ცენტრალური ნახევარმცველი **მეჰდი ლასენაა**. აფრიკელს მადრიდულ კლუბთან ხელშეკრულება 2015 წლამდე აკავშირებს. რა დაუჯდებათ უელსელებს მისი შეძენა უცნობია.

**ლევან ბიბილაშვილი**

### საუკეთესო ფეხბურთელები

XXVI ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 20 | 2.20 |
| 2. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 26 | 2.40 |
| 3. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 24 | 2.45 |
| 4. რენე ადლერი | ჰამბურგი | 25 | 2.66 |
| 5. თომას მიულერი | ბაიერნი | 22 | 2.76 |
| 6. ტონი კროოსი | ბაიერნი | 23 | 2.82 |
| 7. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 25 | 2.83 |
| 8. რომან ვაიდენფელერი | დორტმუნდი | 25 | 2.84 |
| 9. აარონ ჰანტი | ვერდერი | 22 | 2.84 |
| 10. ფაბიან გიფერი | ფორტუნა | 26 | 2.85 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 23 | 19 | 7 | 26 |
| 2. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 26 | 16 | 9 | 25 |
| 3. თომას მიულერი | ბაიერნი | 22 | 12 | 11 | 23 |
| 4. საბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 21 | 9 | 11 | 20 |
| 5. მარკო როისი | დორტმუნდი | 26 | 11 | 8 | 19 |
| 6. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | დორტმუნდი | 21 | 9 | 8 | 17 |
| 7. მარიო გიოტცე | დორტმუნდი | 24 | 8 | 9 | 17 |
| 8. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 21 | 15 | 2 | 17 |
| 9. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 23 | 12 | 4 | 16 |
| 10. ნილს პეტერსენი | ვერდერი | 26 | 11 | 5 | 16 |

### XXVI ტურის გმირი

## ნური შაჰინი (დორტმუნდი)



**ნური შაჰინმა** დორტმუნდი 2011 წლის ზაფხულში დატოვა და მას მერე, გასულ შაბათს პირველად იყო ასეთი ბედნიერი. მადრიდის „რეალში" 18 თვე გაატარა და ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა, რის შემდეგაც „ლივერპულს" მიაშურა, სადაც ასევე ვერ გაბედნიერდა და ახლა ისევ დორტმუნდში დაბრუნდა, სადაც მძიმედ დაიწყო, მაგრამ ფორმაში შევიდა და ამ შაბათს, „ფრაიბურგთან" მატჩში ისევ ის ნური შაჰინი ვნახეთ, რომელმაც 2011 წლის ზაფხულში „ბორუსია" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველის რანგში დატოვა. უკვე 24 წლის შაჰინმა „ფრაიბურგთან" დუბლი შეასრულა და არა მარტო ამ შეხვედრაში, არამედ მთლიანად ტურში საუკეთესო იყო.

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



● იტალია. სერია A. XXIX ტურის შეჯამება

# რომაელები იქით და აქეთ

## ტოტიმ ნორდალი ჩამოიტოვა



ფრანჩესკო ტოტიმ 226-ე გოლი გაიტანა სერია A-ში

**ტრადიციულად, კვირას გვიან ღამით სერია A-ს ერთი მატჩი იმართება, მაგრამ ამჯერად, ერთბაშად სამი პაექრობა იყო დაგეგმილი. „სამპდორია"-"ინტერის" ჯახი ძლიერი წვიმის გამო გადაიდო, დანარჩენ ორზე კი ქვემოთ...**

### ერთი იგებს, მეორე აგებს

ბოლო პერიოდში, „რომა" ძირითადად იგებს, „ლაციო" კი აგებს. შედეგად, „ჯალოროსის" და „ბიანკოჩელესტეს" ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ და ბურთების უკეთესი შეფარდებით, წინ სულაც **აურელიო ანდრეაცოლის** გუნდია. არადა, სულ ახლო წარსულში „ლაციო" სკუდეტოს ეპოტინებოდა, „რომა" კი **ზდენეკ ზემანის** ხელში სატურნირო ცხრილის შუაში იყო გაჭედილი.

„ლაციო" ტურინში ჩავიდა, სადაც ძლიერ წვიმაში „ტორინოსთან" მინიმალური ანგარიშით წააგო, 0:1. ამაში ლომის წილი რომაელი **სიანის** გაძევებამ დაიდო, ეს ამბავი კი ჯერ კიდევ თამაშის სტარტზე მოხდა. ტურინელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და ის ერთი გოლიც დამსახურებულად გაიტანეს.

„რომამ" „პარმას" უმასპინძლა და მეტოქეს ორი უპასუხო ბურთი მიართვა. თამაშის სტარტზევე, რომაელებმა ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც **ერიკ ლამელამ** შედეგიანი დარტყმით დააგვირგვინა. მატჩის დასრულებამდე 20 წუთი იყო დარჩენილი, როდესაც **ფრანჩესკო ტოტიმ** საჯარიმო დარტყმა გოლად აქცია და ყველა კითხვას გაეცა პასუხი. ტოტიმ ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა მიმდინარე სეზონში, ჩვეულად არიგა პასები და მომენტიც იმდენი შექმნა, ჰეთთრიკის შესრულება თავისუფლად შეეძლო. და ერთიც, ფრანჩესკომ 226-ე გოლი გაიტანა სერია A-ში და **გუნარ ნორდალს** გადაასწრო.

### მწვრთნელები და კონტრაქტები

გასულ უქმეებზე, „იუვენტუსმა" კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სკუდეტოსკენ, „მილანმა" ჩემპიონთა ლიგის საგზურისკენ, „ნაპოლიმ" კი შესაძლოა სულაც კრიზისი დაძლია. მოიგო „ფიორენტინამაც" და ლიდერთა სამეულს კვლავაც კუდში უდგას. ვერ გეტყვით, დამთხვევაა თუ კანონზომიერება, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო დღეებში, ხსენებული გუნდების მწვრთნელებზე წასვლა-დარჩენასთან დაკავშირებული ცნობები ვრცელდება.

„გაძეტა დელლო სპორტის' ინფორმაციით, **რომან აბრამოვიჩს** მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **რაფაელ ბენიტესი ანტონიო კონტემ** უნდა შეცვალოს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ლონდონელები უკვე შეეხმიანენ მწვრთნელის აგენტს და მოლაპარაკებაც წამოიწყეს. მართალია, თავად კონტე ამას არ ადასტურებს, მაგრამ კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება, ესეც ფაქტია. თანაც, ანტონიო მიჯრით მეორე სკუდეტოსთანაა ახლოს და შესაძლოა, ტურინში მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემებიც შეექმნას. მოკლედ, არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ კონტესა და ლონდონელებს შორის მოლაპარაკება გაღრმავდება.

როგორც იქნა, „ნაპოლიმ" მოიგო, **ედინსონ კავანიმ** კი გოლები გაიტანა, რასაც კლუბის პრეზიდენტის **აურელიო დე ლაურენტისის** მოულოდნელი განცხადება მოჰყვა:

*„მინდა გულშემატკივრებმა აქედანვე იცოდნენ, რომ ედინსონ კავანისა და ვალტერ მაცარის შენარჩუნება მხოლოდ ჩემზე არაა დამოკიდებული. თუ ურუგვაელ ფორვარდში რომელიმე კლუბი 70 მილიონ ევროს გადაიხდის, იძულებულნი ვიქნებით მას შეველიოთ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც საბოლოო სიტყვა თავად ფეხბურთელზეა. ვიტყვი იმასაც, რომ სერიოზული დაინტერესებაა ვალტერ მაცარის მიმართ, რომლის გადაბირებაც არაერთ კლუბს სურს. ამის შესახებ თავად მწვრთნელსაც ვესაუბრე და ვიცი, რომ ყველაფერი სეზონის შედეგების მიხედვით გადაწყდება".*

„გაძეტა დელლო სპორტი" გვაუწყებს, რომ მაცარის გადაბირებით „რომას" მესვეურები არიან დაინტერესებულნი. მართალია, აურელიო ანდრეაცოლი საქმეს კარგად უძღვება, მაგრამ ჯერჯერობით მაინც დროებითი მწვრთნელის სტატუსი აქვს. ერთი სიტყვით, დიდია შანსი, ზაფხულში „ნაპოლიმ" სახე იცვალოს. ითქვა ისიც, რომ დე ლაურენტისს ძალიან მოსწონს **სტეფანო პიოლის** გაწვრთნილი გუნდები და მაცარის წასვლის შემთხვევაში, არჩევანს მასზე შეაჩერებს. სენიორ აურელიომ პიოლი შეაქო კიდეც და დასძინა: მის გუნდებთან ყოველთვის გვიჭირს თამაშიო. შეგახსენებთ, რომ ამჟამად პიოლი „კიევოს" მწვრთნელია.

ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ მაინც არის ეჭვები **მასიმილიანო ალეგრის** შესაძლო გათავისუფლების შესახებ. მართალია, ლომბარდიელებს სერია A-ში სერიოზული პროგრესი აქვთ, მაგრამ „ბარსელონასთან" განადგურებით **სილვიო ბერლუსკონი** ყოფილა აღშფოთებული. ყველაფერს აქაც დარჩენილი თამაშები გადაწყვეტს, თუმცა არის ვარაუდი, რომ ალეგრის ვერც ჩემპიონთა ლიგის საგზური უშველის.

ამბობენ, რომ ბერლუსკონის **მარკო ვან ბასტენზე** უჭირავს თვალი და სურს, „მილანის" მთავარ მწვრთნელად ჰოლანდიელი დანიშნოს. თუმცა, ეს ამბავი ჯერ ჭორის დონეზეა და უმჯობესია დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

„ფიორენტინა" ძალას იკრეფს და თუ ასე გააგრძელა, ვინძლო სამეულშიც შეძვრეს. ამ პროგრესის მთავარ შემოქმედად **ვინჩენცო მონტელა** მიიჩნევა და რა გასაკვირია, რომ მასზე დიდი მოთხოვნაა. ბოლო ცნობების თანახმად, მონტელას გადაბირება **მასიმო მორატის** სურს, რომელიც **ანდრეა სტრამაჩონის** მუშაობით აღფრთოვანებული არ უნდა იყოს. მართალია, პრეზიდენტი ხშირად აქებს მწვრთნელს, მაგრამ მისი ხასიათიდან გამომდინარე, ეს არც გვიკვირს -იშვიათად, მორატიმ ან მწვრთნელი გააკრიტიკოს, ან ფეხბურთელი. მოკლედ, მონტელას „ინტერის" სახით კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა.

#### ციფრები და ფაქტები

ედინსონ კავანის სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში 20 გოლი აქვს გატანილი. ეს მისი მიჯრით მესამე სეზონია, როდესაც ორ ათეულ და მეტ გოლს იტანს.

■ ■ ■

„ნაპოლიმ" 5-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა.

■ ■ ■

ფრანჩესკო ტოტიმ 226-ე გოლი გაიტანა სერია A-ში, გუნარ ნორდალს გადაასწრო და ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზე ერთპიროვნულად გადაინაცვლა.

■ ■ ■

ფრანჩესკო ტოტიმ „პარმას" მე-18 გოლი გაუტანა კარიერის განმავლობაში, ამდენჯერ მას სხვა არც ერთი გუნდი არ დაუმწუხრებია.

■ ■ ■

**დანიელე დე როსიმ** მე-300 მატჩი გამართა სერია A-ში.

■ ■ ■

„რომას" 5 ტურია არ წაუგია.

■ ■ ■

საკუთარ მოედანზე, „რომა" 38 მატჩია 1 გოლს მაინც იტანს.

■ ■ ■

„ლაციომ" მიჯრით მე-4 გასვლითი მატჩი წააგო.

■ ■ ■

„ტორინომ" „ლაციო" პირველად დაამარცხა 2002 წლის შემდეგ.

■ ■ ■

2013 წელს, „ტორინოს" საკუთარ მოედანზე არ წაუგია.

■ ■ ■

**მარიო ბალოტელის** 5 გოლი აქვს გატანილი „პალერმოს" კარში, ასეთი მაჩვენებელი მას სხვა არც ერთ გუნდთან არ აქვს.

■ ■ ■

2013 წელს, „მილანს" სერია A-ში თამაში არ წაუგია.

■ ■ ■

„იუვენტუსს" ბოლონიაში 1998 წლის შემდეგ არ წაუგია.

■ ■ ■

„ჯენოას" ფლორენციაში 1977 წლის შემდეგ არ მოუგია.

■ ■ ■

„კალიარის" სიენაში არასდროს მოუგია.


აურელიო დე ლაურენტისი ცვლილებებზე ალაპარაკდა

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




● იტალიის ნაკრები



სტეფან ელ შაარავი და მარიო ბალოტელი

## სკუადრა აძურა დაირაზმა

21 მარტს, ჟენევაში იტალიის ეროვნული ნაკრები ამხანაგურად ბრაზილიის უმთავრეს გუნდს გაეჯიბრება, ოთხი დღის შემდეგ კი მალტაში ჩავა, სადაც ოფიციალურ პაექრობას გამართავს. გასაგებ მიზეზთა გამო, ოფიციალურზე უფრო მეტ ინტერესს ამხანაგური პაექრობა იწვევს და ამაზე თვითონ ფეხბურთელთა განცხადებები მეტყველებს... იტალიური სპორტული პრესაც ძირითადად ბრაზილიელებთან მოახლოებულ ჯახს უტრიალებს, მით უმეტეს, **ჩეზარე პრანდელიმ** უკვე დაასახელა 27-კაციანი შემადგენლობა.

პრანდელიმ ბრიფინგი გამართა და აღნიშნა, რომ ტრავმების გამო **მარკო ვერატის** და **ჯამპაოლო პაცინის** გამოძახება ვერ შეძლო. არაფერი უთქვამს **ფედერიკო ბალცარეტიზე**, რომელსაც აქამდე ყოველთვის ენდობოდა, ამჯერად კი სრულიად ჯანმრთელი, ოფსაიდში დატოვა. სხვა მხრივ, შემადგენლობა ოპტიმალურია. სიაშია **ალესიო ჩერჩი**, რომელიც „ტორინოში" მაღალ დონეზე ასპარეზობს და მისი შესაძლო გამოძახების შესახებ ინფორმაცია არაერთხელ გავრცელდა. 25 წლის შემტევი პირველად მოხვდა სანაკრებო განაცხადში.

კვლავ თამაშგარეში არიან **ფაბიო კვალიარელა** და **ალესანდრო მატრი**, რომლებსაც ჩეზარე პრანდელი არც აქამდე ენდობოდა. ალარაფერს ვამბობთ **ანტონიო კასანოზე**, რომელზეც მწვრთნელმა პირდაპირ თქვა, რომ შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანოს, მაგრამ შესარჩევ და ამხანაგურ შეხვედრებში არ დაეყრდნობა.

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მორგან დე სანქტისი (ნაპოლი), ფედერიკო მარკეტი (ლაციო), სალვატორე სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი).

**მცველები:** ინაციო აბატე (მილანი), მატია დე შილიო (მილანი), ანდრეა ბარცალი (იუვენტუსი), ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), კრისტიან მაჯო (ნაპოლი), ანდრეა რანოკია (ინტერი), ლუკა ანტონელი (ჯენოა), დავიდე ასტორი (კალიარი).

**ნახევარმცველები:** ანდრეა პირლო (იუვენტუსი), დანიელე დე როსი (რომა), კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი), რიკარდო მონტოლივო (მილანი), ანტონიო კანდრევა (ლაციო), ალესანდრო დიამანტი (ბოლონია), ემანუელე ჯაკერინი (იუვენტუსი), ანდრეა პოლი (სამპდორია), ალესიო ჩერჩი (ტორინო).

**თავდამსხმელები:** სტეფან ელ შაარავი (მილანი), მარიო ბალოტელი (მილანი), სებასტიან ჯოვინკო (იუვენტუსი), პაბლო დანიელ ოსვალდო (რომა), ალბერტო ჯილარდინო (ბოლონია).

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVIII ტურის შეჯამება

# მოუმ მარკას გალა ნამდვილ გალაში გაცვალა

## რა განსხვავებაა კოკეს და კოკეს შორის




ლეო მესის და დავიდ ვილიას ანგარიშზე „ბარსას" გოლების ნახევარზე მეტია

**ორშაბათს** ესპანეთში 2011/12 წლების ნომინანტები დააჯილდოვეს. „მარკამ" თავისი ტრადიციული დაჯილდოვების ცერემონიალი ჩაატარა: მთავარი პრიზი, ლა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება, ალფრედო დი სტეფანოს სახელობის ტიტული კრიშტიანო რონალდომ მიიღო. საუკეთესო მწვრთნელი კი ჟოზე მოურინიოა. სხვათა შორის, ცერემონიალს რონალდო კი დაესწრო, მაგრამ არსად იყო მოურინიო, პრიზი კი მის ნაცვლად ემილიო ბუტრაგენიომ ჩაიბარა. სანამ მოუს და „მარკას" შორის მტრობამდე მივალთ, ვიტყვით, რომ წინა ღამით პორტუგალიელი ზურაბ ხიზანიშვილის გუნდის თამაშს დაესწრო „გალათასარაისთან".

### გალისიური სკანდალი

გალისიური დერბის დღეს ლა კორუნიაში პოლიცია გაძლიერებულ რეჟიმზე იყო გადასული, რათა „დეპორტივოს" და „სელტას" ფანებს შორის ინციდენტი არ მომხდარიყო. ამ დროს „სელტას" ფეხბურთელმა თავად შეუწყო ხელი ესკალაციას. **უგო მალიომ** იანვარში მძიმე ტრავმა მიიღო და გუნდს ვერ ეხმარება, მაგრამ ხელს კი უშლის - მან გამოაქვეყნა „დეპორის" შეურაცხმყოფელი ფოტო, რამაც ძალზე დაძაბა ვითარება. სხვათა შორის, მალიო „რიასორზე" „სელტას" ულტრასებში იჯდა და იქიდან გულშემატკივრობდა თავის გუნდს. ცალკე აღსანიშნავია, როგორ დაალალატა მატჩისას გუნდი **იაგო ასპასმა**, რომელმაც მეტისმეტად იუხეშა და წითელი ბარათი მიიღო.

მათმა მოქმედებამ ძალიან აღაშფოთა „სელტას" ვეტერანი **მარიო ბერმეხო**, ორივე უკმეხად მოიხსენია (განსაკუთრებით, მალიო) და აღნიშნა, დროა, ბიჭები კაცებად იქცნენ და პროფესიონალებადო.

### მჭევრავი თერიმი

„რეალის" მატჩს თურქული „გალათასარაის" თავკაცი **ფათიჰ თერიმი** ესწრებოდა, რომელიც მომავალ გუნდს ზვერავდა. გამოცდილმა მწვრთნელმა რამდენიმე შენიშვნაც ჩაიწერა, თუმცა „რეალის" 5 გოლის მერე ის კარგ ხასიათზე ვერ იქნებოდა.

### მესი VS რონი

**კრიშტიანო რონალდომ** 90 წუთი ითამაშა „მალიორკასთან" 5:2 მოგებულ მატჩში. მან კარისკენ 11-ჯერ დაარტყა, 4-ჯერ ზუსტად, გაიტანა გოლი. ერთხელ მას ეუხეშნენ და 2-ჯერ თავად დაარღვია თამაშის წესი.

**ლიონელ მესიმ** 90 წუთი ითამაშა „რაიო ვალეკანოსთან" 3:1 მოგებულ მატჩში. მან კარისკენ 6-ჯერ დაარტყა, 4-ჯერ ზუსტად, 2 გოლი გაიტანა, 1 საგოლე პასი გააკეთა. 4-ჯერ დაჯარიმდა.

პრინციპში, არ გვახსენდება, როდის დაჯარიმდა ლეო ამდენჯერ ერთ მატჩში, თუმცა ცხადია - ჩვენი მინი-დუელი ამჯერად მან მოიგო: 13:9 არგენტინელის სასარგებლოდ.

### იცით, თუ არა რომ...

* კრიშტიანო რონალდოს გოლი „მალიორკას" კარში მის პროფესიულ კარიერაში 350-ეა.

* ლიონელ მესიმ და **დავიდ ვილიამ** „ბარსელონას" გოლების 54,7% გაიტანეს, დანარჩენზე კი მოდის 45,3%.

### ტურის ფრაზები

**ფერნანდო ვასკესი:** *„ჩვენ ისევ რეანიმაციაში ვრჩებით, ეს გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ხელოვნური სუნთქვის აპარატზე აღარ ვართ დამოკიდებული"*, - „დეპორტივოს" თავკაცი კლუბში შექმნილ სიტუაციაზე.

**ფილიპ მონტანიე:** *„ისეთ ფორმაში ვართ, რომ ოცნების უფლებაც მოგვეცა"*, - „რეალ სოსიედადის" ფრანგი თავკაცი.

**გრეგორიო მანსანო:** *„ჩვენ სახალხოდ ორჯერ გავაწანით სილა „რეალს" და ეს ერთ რამედ ღირს"*, - „მალიორკას" თავკაცი.

**პეპე მელი:** *„ვიღაც ვიღაცები ჩვენ ლიგის მასხარებად გვთვლიან, რომელთა დაჩაგვრაც იოლია"*, - „ბეტისის" თავკაცი „ვალენსიასთან" მატჩში მსაჯობამ აღაშფოთა.

**მანუელ პელეგრინი:** *„ჩვენ ადამიანები ვართ"*, - „ესპანიოლთან" „მალაგას" საშინაო მარცხის მერე.

**პაკო ხემესი:** *„ძალიან ვამაყობ ჩემი ბიჭების თამაშით"*, - „კამპ ნოუზე" 1:3 მარცხის მიუხედავად, ყველამ აღნიშნა, რომ „ელვებმა" ბარსელონაში თავი არ შეირცხვინეს.

**ტურის მსხვერპლნი**

**რობერტო სოლდადო** (ვალენსია)
**დავიდ ალბელდა** (ვალენსია)
**ადრიანო** (ბარსელონა)
**დიეგო კოშტა** (ატლეტიკო)

პენალტის ეპიზოდში სოლდადომ ტრავმა მიიღო, თუმცა გააგრძელა თამაში, მეორე ტაიმში ტკივილი აუტანელი გახდა და „ვალენსიას" ბომბარდირი შეცვალეს.

### ესპანური ფეხბურთის სუსტი წერტილი - მსაჯობა

**მუნის ფერნანდესი** (ვალენსია-ბეტისი): 0 „მარკას" შეფასებით (10-ბალიანი სისტემით)

**რა დააშავა:** პირველ ტაიმში დანიშნა არარსებული პენალტი და გააძევა სტუმარი ფეხბურთელი. ვალდებული იყო მეორე ყვითელი ბარათი მიეცა „ვალენსიას" მცველისთვის, მაგრამ არ გააკეთა ეს.

### ტურის საუკეთესო გოლი

**ანტუან გრიზმანი** (რეალ სოსიედადი) „ვალიადოლიდის" კარში

**ტურის საუკეთესო პასი**

**პეპე** (რეალი) საგოლე პასი **გონსალო იგუაინს.**

**ტურის სტატისტიკა**

34 გოლი ტურში (3,4 მატჩში). 7 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრედ დასრულდა და 2 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 52 ყვითელი ბარათი 3 წითელი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი: **არავინ**

დუბლი: **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **გონსალო იგუაინი** (რეალი), **დიეგო კოშტა** (ატლეტიკო), **კოკე** (სევილია), **ანტუან გრიზმანი** (რეალ სოსიედადი).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ეიმერიკ ლაპორტი** (ბილბაო, 18 წლის).

■ ■ ■

ყველაზე მეტი მაყურებელი: **88 000 - „კამპ ნოუ"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **10 500 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **24 - რეალი**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **13 - რეალი**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **22 - ატლეტიკო**

ყველაზე მეტი კუთხური: **11 - რეალი**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **10 - დეპორტივო**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **68% - რეალი**

**მომდევნო ტური**

30 მარტი: **რაიო ვალეკანო-მალაგა, სელტა-ბარსელონა, სარაგოსა-რეალი, ლევანტე-სევილია.**

31 მარტი: **ვალიადოლიდი-ოსასუნა, მალიორკა-დეპორტივო, ესპანიოლი-რეალ სოსიედადი, ატლეტიკო-ვალენსია.**

1 აპრილი: **ბილბაო-გრანადა, ბეტისი-ხეტაფე.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




„მარკას" დაჯილდოვების ცერემონიალი, რონალდო დი სტეფანოს პრიზს თავად დი სტეფანოსგან იღებს







ამ ტურში იმდენმა ითამაშა კარგად, რომ ყველასთვის ადგილი ვერ გამოინახა. ასე დარჩნენ რჩეულთა მიღმა კრიშტიანო რონალდო და დავიდ ვილია. სამაგიეროდ, მესი მეოცედ მოხვდა სიმბოლურში და დამსახურებულადაც. გუნდში ორი კოკეა. ოღონდ „სევილიას" 25 წლის მცველის სახელი ასე იწერება: Coke, ხოლო „ატლეტიკოს" 21 წლის ნახევარმცველის ასე: Koke

**ბომბარდირები**

42 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
27 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
21 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

**ასისტენტები**

13 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
10 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
9 - მესუთ იოზილი (რეალი)

**გოლი+პასი**

52 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
32 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
22 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

**მე-12 ფეხბურთელი**

**ვალერონი (დეპორტივო)**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# ᲡᲣᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲩᲔᲚᲡᲔᲚᲘ

კვირას, „სტემფორდ ბრიჯზე" „ჩელსი"-"ვესტ ჰემის" მატჩის მიმდინარეობისას „ჩაქუჩების" გულშემატკივრები ყველაზე აგრესიულად **ჯონ ტერისა** და **ფრენკ ლამპარდის** მიმართ იყვნენ განწყობილნი. პირველი განსაკუთრებული აგრესიის მარწუხებში მოექცა, რადგან ის ძირითადში არ იყო და გასახურებლად ტრიბუნებთან მიახლოება უხდებოდა. ტერის მისამართით ისროდნენ მონეტებსა და ჰამბურგერებსაც კი. ლონდონის პოლიციის ცნობით, გამოძიება უკვე დაწყებულია: *„ტრიბუნებიდან ნასროლი მონეტების საქმეს აუცილებლად გამოვიძიებთ. ჯერჯერობით ეჭვმიტანილებზე ლაპარაკი ნაადრევია,"* – ნათქვამია სამართალდამცავთა განცხადებაში.



ფრენკ ლამპარდი დიდი ხანია, „ჩელსის" ისტორიის ნაწილია

შეგახსენებთ, რომ შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით (2:0) დასრულდა. ლამპარდმა ლონდონელთა ლურჯი მაისურით მე-200 გოლი გაიტანა და ახლა **ბობ ტემბლინგის** რეკორდამდე ორი ბურთიღა აკლია. მატჩის შემდეგ 34 წლის ვარსკვლავი ჟურნალისტების ალყაში მოექცა. ალბათ არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ფრენკმა პირველ რიგში გუნდის წარმატებას გაუსვა ხაზი. მან განსაკუთრებით გამოყო **ედენ აზარის** თამაში. აი, რა თქვა მან:

- მშვენიერი თამაში იყო, როგორც პირადად ჩემთვის, ისე მთლიანად გუნდისთვის. იმის თქმაც შეიძლება, რომ უფრო დიდი ანგარიშით შეგვეძლო მოგება. მეტის გატანა შემეძლო პირადად მეც. ვფიქრობ, ბოლო თამაშების ტენდენცია შევინარჩუნეთ: ბევრს ვმოძრაობდით, ერთმანეთს პასს არ ვუგვიანებდით. 2:0-ის შემდეგ ძალიან მოვდუნდით, მაგრამ მომენტების შექმნას მაინც ვახერხებდით. ამ მოვლენების ეპიცენტრში ყოფნა კი ძალიან სასიამოვნო იყო. იმის შეგრძნება, რომ მე-200 გოლი გავიტანე, განსაკუთრებულია. „ჩელსიში" როცა გადმოვედი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ამდენს მოვახერხებდი. მაშინ იმაზე თუ ვიოცნებებდი, რომ 200 თამაში ჩამეტარებინა. ამაყი ვარ, რომ უკვე წლებია, ასეთი დიდი კლუბის ისტორიის ნაწილი ვარ. ემოციების გადმოცემა შეუძლებელია. გულშემატკივრები უბრალოდ, აფეთქდნენ ჩემი გოლის შემდეგ.

ტრიბუნები პირველი წუთებიდანვე განსაკუთრებულად თბილად იყვნენ ჩემდამი განწყობილები. მათ მეც ვაღმერთებ. ყველას ერთად უამრავი საერთო რამ გვაქვს გასახსენებელი. ეჭვგარეშეა, რომ სულითა და გულით ჩელსელი ვარ. მე სწორედ ამით ვცხოვრობ და ამას ვერაფერი შეცვლის. ფანების გვერდში დგომას ვაფასებ და ვცდილობ, სიყვარულითვე ვუპასუხო.

აზარი სულ რაღაც 22 წლის არის და ვილაცებს ეს ხშირად ავიწყდებათ ხოლმე. მსოფლიომ უკვე აღიარა ის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ედენი გაუმკლავდება ამხელა ზეწოლას, რადგან ამისთვის საკმაოდ მყარად დგას ფეხზე. მას მდგრადი ფსიქიკა და ხასიათი აქვს. ზედმეტი ფიქრებით გონებას არ ილლის, რაც მის თამაშზე აისახება კიდეც. აზარის ოსტატობა და სისწრაფე მისი სავიზიტო ბარათია. მას ისეთი მონაცემები აქვს, რასაც ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელები ფლობდნენ. აზარის გვერდით თამაში განსაკუთრებული სიამოვნებაა.

ამიერიდან ჩვენი პრიორიტეტი მხოლოდ მომდევნო თამაში უნდა იყოს. ხალხი ბევრს ლაპარაკობს გადატვირთულ კალენდარზე, მაგრამ „ჩელსისთვის" ის ტურნირები, სადაც თამაშობს, განსაკუთრებულია. თანაც ჩვენ ყველა ფრონტზე გვაქვს წარმატების შანსი. ჩემპიონატის თამაშები უმნიშვნელოვანესია, მაგრამ თასების მოგებაზეც უნდა ვიზრუნოთ.

ინგლისის ნაკრები

ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, 65 წლის **როი ჰოჯსონს** დანიშვნის დღიდან უილბლობა ფეხდაფეხ სდევს. ჯერ ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ შეკრებაზე გამოძახებული ფეხბურთელები სრულად გამოცხადებულიყვნენ. ასე იყო ევრო 2012-ის დაწყებამდეც და ასე გრძელდება 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც. ჰოჯსონს სან მარინოსა და ჩერნოგორიის ნაკრებების წინააღმდეგ შეხვედრებში თავდაპირველი სიიდან მინიმუმ 3 ფეხბურთელი დააკლდება: **აარონ ლენონი, მაიკლ დოუსონი** და **რიო ფერდინანდი**. დიახ, რიო ფერდინანდი. „მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანის თქმით, ის იძულებულია ექიმების მოთხოვნებს დაემორჩილოს და ამ ეტაპზე საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოს. „დეილი მეილმა" მის ამ ნაბიჯს „ფერდინანდის ფარსი" უწოდა. მას ქვემოთ კიდევ დავუბრუნდებით, ახლა პირველ ორზე ვთქვათ. ლენონის ტრავმის შესახებ პრემიერლიგის XXX ტურამდე გახდა ცნობილი. კვირას „ფულჰემთან" დერბიში ის საზარდულის პრობლემების გამო „ტოტენჰემის" განაცხადშიც არ იყო. დოუსონს რაც შეეხება, მან მუხლის ტრავმა პირველივე ტაიმში მიიღო, რის გამოც **ანდრე ვილაშ ბოაშმა** ის შესვენებაზევე შეცვალა. როი ჰოჯსონმა ჯერ კიდევ ფერდინანდის განცხადებამდე, დაცვის ხაზში შექმნილი საკადრო პრობლემების გამო შეკრებაზე „მანჩესტერ სიტიდან" **ჯოლეონ ლესკოტს** უხმო, ხოლო მას მერე „ტოტენჰემიდან" **სტივენ კოლკერიც** გამოიძახა.

## ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐ

რიო ფერდინანდი თვეების განმავლობაში დუმდა სანაკრებო თემატიკაზე. **ალექს ფერგიუსონი** კი აცხადებდა, რომ ვერც კი წარმოედგინა მისი შეგირდის ეროვნულ გუნდში დაბრუნება. ერთ დღეს ფეხბურთელმა დუმილი საკუთარი ინიციატივით დაარღვია და განაცხადა, რომ მზად იყო, „სამი ლომის" ფორმა ხელახლა მოერგო. როი ჰოჯსონის მიერ შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ რიოს გვარის ამოკითხვა ბევრისთვის მაინც სიურპრიზი იყო. მწვრთნელი იმედოვნებდა, რომ ცნობილი რასისტული სკანდალის შემდეგ ფერდინანდსა და

# ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ. ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲡ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ



ამ ეტაპზე რიო ფერდინანდი ნაკრებს არ დაეხმარება

**ეშლი კოულს** შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა მოგვარდებოდა. უკიდურეს შემთხვევაში კი გუნდზე არ აისახებოდა. მოკლედ, ყველანი იმედიანად განეწყვნენ. ამ ფონზე რიოს ნაბიჯმა მწვრთნელი შოკში ჩააგდო. „იუნაიტედის" ფეხბურთელი მიუნხენელი ექიმების ზურგს ეფარება (ის სწორედ გერმანიაში მკურნალობს) და აცხადებს, რომ მათ 7-10-დღიანი დასვენება ურჩიეს, რათა ხერხემლის პრობლემები არ გაირთულოს და სეზონი მშვიდად ჩაამთავროს. რიომ მხოლოდ კვირას, ჰოჯსონთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ გაუმხილა პრესას საკუთარი გადაწყვეტილება და დასძინა: *„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჰოჯსონთან პირისპირ საუბარი. მე მას გულწრფელად ვუთხარი, რომ ჩემი ქვეყნის ღირსების დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც ეს ყოველთვის იყო. სამწუხაროა, რომ უახლოეს შეხვედრებში ვერ ვითამაშებ, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ როისთან თანამშრომლობის შანსი მომავალშიც მომეცემა".* *„იმედგაცრუებული ვარ, რომ რიო ნაკრებს ვერ დაეხმარება. სამწუხაროდ, მან მკაცრად უნდა დაიცვას სპეციალურად მისთვის შედგენილი სამედიცინო პროგრამა, რაც ამ ეტაპზე გამორიცხავს ნაკრებში მის ასპარეზობას. თუმცა მიხარია, რომ მან ამის შესახებ პირადად მაცნობა,"* – განუცხადა ჰოჯსონმა „გარდიანს".

ტრავმა

## ᲣᲘᲚᲨᲘᲠᲡ ᲢᲠᲐᲕᲛᲐ ᲒᲐᲣᲠᲗᲣᲚᲓᲐ

GOAL.COM-ის ინფორმაციით, „არსენალის" 21 წლის ნახევარმცველი **ჯეკ უილშირი** კოჭის ტრავმის რეციდივის გამო არა სამ, არამედ ექვს კვირას გამოტოვებს. ანალოგიური პრობლემების წყალობით „მეთოფეთა" ერთ-ერთმა ლიდერმა 17 თვე გამოტოვა. თუმცა ირწმუნებიან, რომ ფეხბურთელის მდგომარეობა ძველებურად მძიმე არ არის და მას მსგავსი არაფერი ემუქრება.

ლევან ბიბილაშვილი



ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# დღეს ევროპას ვიწყებთ

## მოულოდნელი პრობლემები სტარტზე

სულ რამდენიმე საათიც და დღეს თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს ევროპის წლევანდელი პირველობა. საქართველო პირველად მასპინძლობს ამ რანგის შეჯიბრებას და მისი ღირსეულად ჩატარება ფრიად საშური საქმეა, თუმცა ქართულმა რეალობამ გუშინვე, შეჯიბრების დაწყებამდე შეგვახსენა თავი, როცა საღამოს ქვეყნის დიდ ნაწილს ელექტროენერგია გაეთიშა. მათ შორის - სპორტის სასახლესაც, თუმცა, მადლობა ღმერთს, და ამჯერად გადავრჩით - დენი ცოტა ხნით ადრე რომ გამორთულიყო, არავინ იცის, ჩატარდებოდა თუ არა აწონვა-წილისყრის ცერემონიალი. იმედია, სპორტის სასახლის ადმინისტრაცია, ზოგადად - ხელისუფლება მომდევნო დღეებში მსგავსი გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის თადარიგს დაიჭერს, თორემ ამ პირველობასთან დაკავშირებით აქამდე გაკეთებული ყველა კარგი და საკმაოდ დიდი საქმე წყალში გადაგვეყრება. არა მგონია, უცხოელებს გუშინაც მთლად კარგ მოგონებად დარჩენოდათ სპორტის სასახლის დერეფნებში ფანრების და სანთებელების შუქზე სიარული.

კიდევ ერთი პრობლემა გუშინ საღამოსვე ფოტორეპორტიორებს წარმოექმნათ, ოღონდ ამაში საქართველო არაფერ შუაშია და ის მთლიანად ჭიდაობის საერთაშორისო თუ ევროპული ფედერაციების დოლრიალობის შედეგია - ისინი ჩვენს კოლეგებს ქვედა იარუსზე, არენის ირგვლივ განლაგების ნებას არ აძლევდნენ. არადა, თავდაპირველად, მათ ადგილი ჩრდილოეთის სექტორის ირგვლივ მიუჩინეს. მაგრამ გაირკვა, რომ იქაურობა საპატიო სტუმრებისთვის ყოფილა განკუთვნილი, რადგან ვიპ-ლოჟამ მსურველები ვერ დაიტია. ამიტომ ზემოაღნიშნულმა უწყებებმა იქ ფოტორეპორტიორებს ადგილი არ მისცეს. მათ ქვედა იარუსზე მხოლოდ ერთი ალტერნატივა რჩებოდათ - დასავლეთის სექტორიდან გადაღება, რაც ძალზე მოუხერხებელია. ასევე შეეძლოთ ზედა იარუსზე ასვლა, თუმცა არც ისაა იდეალური ადგილი. საბოლოოდ პრობლემა იმით მოგვარდა, რომ ჩრდილოეთის სექტორში რამდენიმე მწკრივზე არ გაყიდეს ბილეთი და ის ადგილი გამოუთავისუფლეს გადამღებებს, ოღონდ იქაც სკამებზე უნდა ისხდნენ, არენის გასწვრივ მოძრაობის ნება არ ექნებათ. საკითხავია - მასპინძელ დარბაზს ხომ ამოწმებენ ევროპული თუ საერთაშორისო ფედერაციები და აქამდე რატომ არ მოიკითხეს, სად იყო რეპორტიორთა ადგილი? ეს ხომ მათი პირდაპირი მოვალეობაა! გუშინ სავსებით სამართლიანად განაცხადა ფრანგმა ჟურნალისტმა, ვიპი არ ვიცი, მე სამუშაო პირობები მინდაო.

## ფორმები და კონგრესი

ჩემპიონატის საშეჯიბრო ნაწილი ჯერ არ გახურებულა, თუმცა ევროპის პირველობის ოფიციალური ნაწილი უკვე გაიხსნა - გუშინ ჭიდაობის ევროპული ფედერაციის (CELA) კონგრესი ჩატარდა, ტრადიციულად მშვიდ ვითარებაში. გუშინვე ჩვენი ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობამ „ჰოლიდაი ინში“ ნაკრებების წევრებს იტალიური წარმოების ახალი ფორმები გადასცა - საშეჯიბროც და გამოსასვლელიც, და თან წარმატებები უსურვა კონტინენტის პირველობაზე.

ჩემპიონატი დღეს 13 საათზე დაიწყება და ვაჟთაგან „თავისუფლად“ მოჭიდავეები იასპარეზებენ ორ წონაში - 66-ში და 96-ში, ქალთაგან კი - 48 კილოგრამის წარმომადგენლები. 17.15-ზე ტურნირის საზეიმო გახსნაა, ფინალური შეხვედრები კი 18-დან 20 საათამდე გაიმართება. 20



მარტიდან შეჯიბრებები უკვე 14 საათიდან დაიწყება, ფინალები კი იმავე ვადებში ჩატარდება. შეჯიბრების პირველი ოთხი დღე „თავისუფლებს“ დაეთმობათ - ქალებსაც და ვაჟებსაც, 23-24 მარტს კი ბერძენ-რომაელები იჭიდავებენ. 20 მარტს ვაჟთაგან 55-60, ქალთაგან კი 51-59 კილოგრამების წარმომადგენლები იასპარეზებენ, 21-ში - 74-120-ის და 55-67-ის. პარასკევს, 22 მარტს ლეიბზე ვაჟთაგან 84 კილოგრამის ფალავნებს ვიხილავთ, ქალთაგან - 63-72-ისას. 23-ში უკვე ბერძენ-რომაელები - 55, 60, 96 და 120-ის ათლეტები იასპარეზებენ, დანარჩენები კი 24-ში ჩემპიონატს დაასრულებენ.

ბილეთები ზედა იასრუსზე 1 ლარი, ქვედაზე კი 3 ლარი ღირს. თან ერთი ბილეთი მთელი დღის განმავლობაში იმუშავებს. ფინალური ბლოკის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ.

## ჩინელები ევროპაზე

ევროპის ამ პირველობით ახალი ოლიმპიური ციკლი იწყება, რაც თაობათა ცვლასაც ნიშნავს, მაგრამ, ამავდროულად, დიდ ინტერესსაც იწვევს, როგორც ახალი გზის დასაწყისი. ეს ტურნირიც ამ ნიშნებით ხასიათდება - ძალიან ბევრი გუნდია გადახალისებული, თუმცა შეჯიბრებისადმი უცხოელთა ინტერესი მაინც დიდია. ამას ისიც ადასტურებს, რომ აკრედიტაცია 20-მდე უცხოელმა ჟურნალისტმა გაიარა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათ შორის 2 ჩინელიცაა. იქ ჭიდაობა ახლა იდგამს ფეხს და ეტყობა, აინტერესებთ ყველაფერი, რაც განვითარებაში დაეხმარებათ. ევროპელთაგან განსაკუთრებით ბულგარელებმა იაქტიურეს - 5 წარმომადგენელი ჰყავთ. ჩვენი კოლეგები არიან რუსეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ფინეთიდან და ა.შ.

ჟურნალისტების გარდა, უცხოეთიდან ქომაგები თუ ოფიციალური პირებიც ბლომად ჩამოვიდნენ. გუნდების უმეტესობა უკვე თბილისშია, თუმცა ჯერ არ ჩამოსულან ბერძენ-რომაელები, რადგან ისინი შაბათ-კვირას ჭიდაობენ. თვით „თავისუფალთა“ და ქალთა შორისაც ზოგი ჯერ კიდევ გზაშია (ვინც დღეს არ ჭიდაობს), გუშინ კი 500-მდე სპორტსმენი იყო თბილისში. ტურნირში მონაწილეობაზე განაცხადი 47-მა ქვეყანამ გააკეთა.

ყველაზე მრავალრიცხოვანი რუსეთის დელეგაციაა. წინასწარი მონაცემებით, ისინი 100-ზე მეტი კაცით აპირებდნენ გამოფრენას მოსკოვიდან. გუშინ მათი ზუსტი ციფრი ვერავინ გვითხრა, მაგრამ მათი დელეგაცია ყველაზე დიდია. თან ამბიციაც რაოდენობის შესაბამისი აქვთ - „თავისუფალთა“ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მაგომედ ჰუსეინოვმა** განაცხადა, რომ 4 ოქროს და გუნდური პირველობის მოპოვებას აპირებენ. თემა მოგვიანებით ოსთა სახელოვანმა მწვრთნელმა **მაირბეკ იუსუპოვმაც** განავრცო და დაამატა, ჩვენი ქალებიც და ვაჟებიც გუნდური გამარჯვებისთვის იბრძოლებენო. პროგნოზებში უფრო თავშეკავებული გამოდგა აზერბაიჯანელ „თავისუფალთა“ თავკაცი **საიპულა აბსაიდოვი**, რომელიც „მხოლოდ“ 4 მედალს დასჯერდა, თუმცა ხარისხი არ დაუზუსტებია.

რუსთა ოფიციალურ დელეგაციას არ ჩამოჰყოლიან ჩრდილოკავკასიელი ქომაგები, რომლებიც ლარსიდან საკუთარი ტრანსპორტით აპირებდნენ შემოსვლას. მათ საამისოდ მობილიზაცია იქაურ ინტერნეტფორუმებზე დიდი ხნის წინ დაიწყეს - აინტერესებდათ ყველაფერი: სასტუმროების ფასი, ფულის კურსი, ამინდი როგორია, ხომ არ ცივა თბილისში, რა ჩაიცვან, რა მდგომარეობაა ლარსში, ყაზბეგის რაიონში თოვლი ხომ არაა და ასე შემდეგ... მათ შორის რამდენიმე ქართულსაც „ამტვრევს“ - ვისაც დედა, ბებია-ბაბუა ან ნათესავი ჰყავს ქართველი. ბოლო დღეებში განსაკუთრებით აქტუალური ამინდის თემა გახდა. სამწუხაროდ, გუშინ ყაზბეგის რაიონში ზვავსაშიშროების გამო სატრანსპორტო მიმოსვლა მართლაც შეფერხებული იყო, თუმცა, იმედია, დღეს დათბება და ეს პრობლემაც მოგვარდება. ჩვენი ინფორმაციით, მოდიან აზერბაიჯან-სომხეთიდანაც. სავარაუდოდ, ადგილობრივი ქომაგი ბოლომდე შეავსებს სპორტის სასახლის ტრიბუნებს და სტუმრებს გულშემატკივრობაში აჯობებს.

## დღეს იჭიდავებენ

### კონსტანტინე ხაბალაშვილი (66).



**დაიბადა:** 1992-05-07, გორში.
**მწვრთნელი:** ნუგზარ სხირელი

ევროპის ვიცე-ჩემპიონი ჭაბუკებში (2009), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებში (2012). საქართველოს ჩემპიონი (2012).

### ელიზბარ ოდიკაძე (96).



**დაიბადა:** 1989-06-14, თბილისში.
**მწვრთნელები:** ამირან მაისურაძე, დავით ხურცია.

მსოფლიოს თასის მფლობელი (2012), „ოქროს დიდი პრიზის“ გამარჯვებული (2012), იაშარ დოგუს სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ ჩემპიონი (2012).

ბედის ირონიით, ჩემპიონატის პირველივე დღეს ჩვენგან სტარტზე დებიუტანტები დადგებიან, რომლებსაც არც წილისყრამ გაუმართლათ. განსაკუთრებით - **ელიზბარ ოდიკაძეს**, რომელიც პირველ წრეშიც სერიოზულ მეტოქეს, ბელარუს ევროპის პრიზიორ **ივან იანკოუსკის** ხვდება, თორემ **კონსტანტინე ხაბალაშვილი** ბევრად სუსტ ალბანელ **ვილსონ ნდრეგონის** გაეჯიბრება და ცოტა ამოსუნთქვის საშუალება აქვს. ჩვენები პირველ წრეს თუ წარმატებით გაივლიან, შესაძლოა, მეორეში ორივე რუსს გაეჯიბროს. ოდიკაძეს ეს გარანტირებული აქვს, რადგან რუსთა ოსი **ვლადისლავ ბაიცაევი** პირდაპირ მეორე ეტაპიდან ჩაერთვება ტურნირში, დაღესტნელ კუმიკ **ილიას ბეკბულატოვს** კი იქ გასასვლელად უკრაინელი **ანდრეი კვიატკოვსკის** დამარცხება მართებს, რაც იოლი საქმეც არ უნდა იყოს.

საერთოდ, ჩვენებურებს წილისყრამ არ გაუმართლათ - ამაზე უფრო ცუდი ძნელი წარმოსადგენი: რუსები ხომ მეორე წრეშივე ელოდებიან, აზერბაიჯანელებიც მათ მხარეს მოხვდნენ, ეს ორი გუნდი კი გამოკვეთილია ჩემპიონატში. ოდიკაძე ევროპის სამგზის და მსოფლიოს ჩემპიონს, ორგზის ოლიმპიურ ბრინჯაოს მედალოსან **ხეტაგ გოზიუმოვს** ნახევარფინალამდე არ შეხვდება, ხაბალაშვილს კი აზერბაიჯანელთა დებიუტანტი **მაგომედ მუსლიმოვი** მეოთხედფინალში გადაეყრება. აქვე შევნიშნავთ, რომ ოდიკაძემ გოზიუმოვი თებერვალში თურქეთში დოგუს მემორიალის ფინალში დაამარცხა.

**ირაკლი თავაძე**

## მილოცვა



ინდოეთში მოღვაწე თავისუფალი და ბერძნულ რომაული ჭიდაობის მწვრთნელები ვლადიმერ მესტვირიშვილი, როინ დობორჯგინიძე, ვლადიმერ იაშვილი, ემზარ მახარაძე და გიორგი მშვენიერაძე დაბადების 65 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავენ ლეგენდარულ მოჭიდავეს, ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს **ლევან თედიაშვილს.**

ქართული სპორტი

ლელობურთი

# კიდევ ერთი [illegible] დაბრუნება – ამჯერად ღირსეულად და სამუდამოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლელო უძველესი ხალხური თამაშობაა. ცნობილია ბასკებთან ჩვენი ნათესაობაც. აკადემიკოს ნიკო მარის მიხედვით. „მსგავსი თამაში გავრცელებული ყოფილა ბასკეთშიც, სადაც გამარჯვებული გუნდის წევრები ლელოს გატანის დროს სიხარულს გამოხატავდნენ საბრძოლო შეძახილით - „ლელო!“, რაც მზის კულტთან დაკავშირებული წარმართული ღვთაების სახელი იყო“ („სპორტის ენციკლოპედია“). ლელოს თამაშობდნენ ცხენზე ამხედრებულებიც, როგორც ყველა ქარული ხალხური თამაშობის აბსოლუტური უმრავლესობა, ლელოს თამაშიც საბრძოლო მომზადებას ისახავდა მიზნად. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უბნები, სოფლები, თემის გუნდები, ცოლიანები და უცოლოები, დასავლეთ საქართველოში - გურულები და მეგრელები და ა.შ.**

გასული საუკუნის 50-იანი წლების პირველ ნახევარში, ისაკ კიზირიამ შეიმუშავა ლელოს თანამედროვე წესები და თამაშმა საფეხბურთო მოედნებზე გადაინაცვლა, ტარდებოდა საქართველოს ჩემპიონატები. მერე სპორტის ეს ეროვნული სახეობა კვლავ დავიწყებას მიეცა. ლელობურთი საალდგომო ტრადიციულ თამაშად დარჩა მხოლოდ ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში.

ლელობურთის მოზარდებში დანერგვა ბოლო წლებში სენაკში დაიწყო წარსულში ცნობილმა მორაგბემ, ამჟამად „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სენაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ **დავით კილასონიამ**. ახლა დღის წესრიგში სწორედ მისი თაოსნობით დადგა ლელობურთის ეროვნული ფედერაციის დაფუძნების საკითხი. გაჩნდა რეალური იმედი, - სპორტის ეს ისტორიული ხალხური სახეობა ყველასთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის გახდება ხელმისაწვდომი. არავინ დავობს, რომ ქართული რაგბის წარმატებები მნიშვნელოვან წილად დაკავშირებულია ლელობურთთან არა მხოლოდ თამაშის მსგავსებით, არამედ ამავდროულად არის გენეტიკური გამოძახილი.

გასულ შაბათს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბირო დარბაზში ხსენებული ფედერაცია ოფიციალურად დაფუძნდა. დელეგატებმა ფედერაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს გენერალი **ვახტანგ კაპანაძე** - საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის მოადგილე. მასვე დაევალა ფედერაციის მმართველი გუნდის ჩამოყალიბება.

„ლელობურთი ამჯერად უკვე ერთხელ და სამუდამოდ დაგვიბრუნდება. დაინერგება სასწავლო დაწესებულებებში და რაც მთავარია, ჯარში, პოლიციაში. მოეწყობა სათამაშო მოედნები, დაიხვეწება თამაშის წესები. ამასთან ფედერაციის პრიორიტეტულ მიმართულებად დარჩება ლელობურთის თამაშის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების და სულისკვეთების შენარჩუნება. ეჭვიც არ გვეპარება, რომ ლელობურთის მასობრივი დანერგვა კიდევ უფრო აამაღლებს რაგბისადმი ახალგაზრდების სწრაფვას და ხელს შეუწყობს ნიჭიერი მოთამაშეების გამოვლენას“ - გვითხრა დავით კილასონიამ.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**



საქართველოს ჩემპიონი, ლელო-ბურთში ქ.ქუთაისის გუნდი
1974 წელი ქ. გურჯაანი

ფოტო მოგვაწოდა გუნდის მოთამაშემ, იმ პერიოდში სპორტის არაერთ სახეობაში თავგამოჩენილმა სპორტსმენმა თემურ ქურციკიძემ (მეორე რიგში დგას მარჯვნიდან პირველი).

სუმო. ჰარუ ბაშო. 10-24 მარტი

# ტოჩინოშინის მეოთხე გამარჯვება

გაზაფხულის ბაშოს მე-9 დღეს დასავლეთის პირველი მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) შოჰოზანს** შეხვდა. შოჰოზანი შეეცადა მოკლე დარტყმებით გასულიყო ფონს, მაგრამ ქართველისგან საპასუხო დარტყმები მიიღო და თავი მაყურებელთა დარბაზში ამოყო. ტოჩინოშინს 4-5 ბალანსი აქვს. შეგახსენებთ, რომ დადებითი ბალანსისთვის მას 8 მოგების მიღწევა ესაჭიროება. ტოჩინოშინის მომდევნო მეტოქე სეკივაკე **გოეიდოა** (3:6 ურთიერთშეხვედრებში).

სამწუხაროდ, დამარცხდა **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**, ოსი **არანი** შეეცადა სასტარტო დაჯახებას გაცლოდა, მართალია, ეს მას არ გამოუვიდა, მაგრამ შემდეგ ბრწყინვალედ შეასრულა უვატედაშინაგეს ილეთი და ქართველი დოჰიოზე აღმოჩნდა. თეიმურაზს უკვე საგანგაშო ბალანსი აქვს (3-6) და მხოლოდ ერთი მარცხის უფლება აქვს, თუკი წინსვლა სურს. გაგამარუს მომდევნო მეტოქე **შოტენროა.**

ბაშოზე ერთპიროვნული და დაუმარცხებელი ლიდერი დიდი მონღოლი **ჰაკუჰოა** (9-0).

### IX დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-ბარუტო (ცუკიოტოში), ჰაკუჰო-ტოიონოშიმა (ჰიკიოტოში), კისენოსატო-ტოკიტენკუ (ოშიდაში), კოტოშოგიკუ- კაკურიუ (იორიკირი), ტაკაიასუ-გოეიდო (იორიკირი), ტოჩიოძანი-მიოგირიუ (ოკურიდაში), ამინიშიკი-იკიოი (კატასუკაში), **ტოჩინოშინი**-შოჰოზანი (ცუკიდაში), არანი-**გაგამარუ** (უვატედაშინაგე).

### სატურნირო მდგომარეობა

**9-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა)
**7-2:** კოტოშოგიკუ (ოძეკი), ოკინოუმი (მაეგაშირა 7)... **4-5:** ტოჩინოშინი (მ 1)... **3-6:** გაგამარუ (მ 6).

### X დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ბარუტო, ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი, კაკურიუ-ტოჩიოძანი, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, იკიოი-კისენოსატო, **ტოჩინოშინი**-გოეიდო, ამინიშიკი-მიოგირიუ, **გაგამარუ**-შოტენრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ტურნირები: შინ და გარეთ...

## მედლებისა და საგზურებისთვის

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება 16 წლის გოგონათა და ვაჟთა საქართველოს პირველობები, რომლებშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 74 წარმომადგენელი მონაწილეობს. უკვე გათამაშდა 3 ტური.**

გოგონებში გუშინ მარიამ ჭოლაძემ შავი ფიგურებით ნინო ჯალაღონია დაამარცხა, ხოლო ნინო დახუნდარიძემ მაია მუმლაძეს სძლია. ორივე მოჭადრაკემ 3-3 ქულას მოუყარა თავი. 2,5-2,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს დები - ნინო და ქეთევან ხომერიკები (მეორე ტურში მათი პაექრობა ყაიმით დასრულდა) იყოფენ.

მე-4 ტურში მენინავენი ასე დაწყვილდნენ: მარიამ ჭოლაძე - ნინო დახუნდარიძე, თამარ ფაშკურიძე - ნინო ხომერიკი, ქეთევან ხომერიკი - ნინო ჯალაღონია, მარიამ წამალაშვილი - მაია მუმლაძე, მარიამ ჯავახიშვილი - ნინო გუმბერიძე.

ვაჟებში რვა ოროსანი იყო. მათი სამი შეხვედრა შედეგიანი გამოდგა: გიორგი სიბაშვილი - ანტონ ნადირაძე 1:0, ნოე თუთისანი - რევაზ ტეტუნაშვილი 1:0, გურამ კოკაია - ნიკა ლვამბერია 0:1, ხოლო ირაკლი კელეპტრიშვილიდა ნიკოლოზ ქუმსიაშვილი დაზავდნენ. ამდენად 3-3 ქულით ლვამბერია, სიბაშვილი და თუთისანი დაწინაურდნენ, ხოლო ქუმსიაშვილმან, გვენტაძემ და კელეპტრიშვილმა 2,5-2,5 ქულას მოუყარეს თავი. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები დღეს მე-4 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ლვამბერია - სიბაშვილი, ქუმსიაშვილი - თუთისანი, გვენეტაძე - კელეპტრიშვილი.

საგულისხმოა, რომ 16-წლიანთა საქართველოს პირველობა შესარჩევი ტურნირიცაა, რადგან გამარჯვებულები თანატოლთა შორის მსოფლიოს, ხოლო ვერცხლის მედალოსნები ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ.



კონსტანტინე შანავა

## შანავამ იპირველა

ჩანაკელიში (თურქეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში სამი ქართველი მონაწილეობდა და უპრიზოდ არავინ დარჩენილა. შვიდი შესაძლებლიდან 6,5 ქულით პირველი ადგილი დიდოსტატმა **კონსტანტინე შანავამ** მოიპოვა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ **ბაჩანა მორჩიაშვილი**, პეტა გენოვი (ბულგარეთი) და **გიორგი ბალათუროვი** (თბილისი), რომლებმაც მეორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს.

## სამეულის შანსი ხმიადაშვილს შერჩა

**ბულგარულ პლოვდივში დღეს დამთავრდება ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატი.**

ასპარეზობის ბოლო ტურის წინ საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსი მხოლოდ **თამარ ხმიადაშვილს** შერჩა, რომელიც გუშინ ერთპიროვნულ ლიდერ მარგარიტა ვოისკას (ბულგარეთი) დაუზავდა. **ნონა გაფრინდაშვილმა** თეთრი ფიგურებით სვეტლანა მედნიკოვასთან (რუსეთი) წააგო. მენინავეთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ტატიანა ფომინა (ესტონეთი) - გალინა სტრუტინსკაია (რუსეთი) 0:1, პეტრანკა დრაგანოვა (ბულგარეთი) - ლუბა კუზნეცოვა (რუსეთი) 0:1... **მარგალიტა თანდაშვილი** - ვალენტინა მილაშევსკაია (რუსეთი) 0,5:0,5.

ბოლო ტურის წინ 6,5 ქულით მარგარიტა ვოისკა ლიდერობს და მან, ფაქტობრივად, ჩემპიონობა გაინაღდა, რადგან დღეს უმოტივაციო თანამემამულე - რუმიანა გოჩევას ხვდება და მიზნის მისაღწევად ყაიმიც ხელს აძლევს, რაც, ცხადია, არ გაუჭირდება. 5,5-5,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები - გალინა სტრუტინსკაია და სვეტლანა მედნიკოვა ინაწილებენ. სამ მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს. დამატებითი მაჩვენებლებით მე-4 ადგილზეა თამარ ხმიადაშვილი, რომელსაც მედნიკოვაზეც უკეთესი კოეფიციენტი აქვს. ასე რომ, დღეს არა მარტო ქართველი დიდოსტატების, არამედ მისი მეტოქეების ორთაბრძოლათა შედეგებსაც ვერცხლის ან ბრინჯაოს მედლის მოსაპოვებლად დიდი მნიშვნელობა აქვს. ტურნირის რეიტინგ-ფავორიტმა, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა 4,5, საერთაშორისო არბიტრმა მარგალიტა თანდაშვილმა 3,5 ქულა მოაგროვეს და საპრიზო ადგილებისთვის პაექრობას ჩამოშორდნენ.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: მარგარიტა ვოისკა (6,5) - რუმიანა გოჩევა (4,5), გალინა სტრუტინსკაია (5,5) - ლუბა კუზნეცოვა (5), სვეტლანა მედნიკოვა (54,5) - ტატიანა ფომინა (5), ლუდმილა ციფანსკაია (4,5) - თამარ ხმიადაშვილი (5), ნონა გაფრინდაშვილი (4,5) - ტამარა სოროკინა (4,5)... მარგარიტა ვალიუნიენე (ლიტვა, 3) - მარგალიტა თანდაშვილი (3,5).

## გრან პრის თბილისიც უმასპინძლებს

**ადგილები და თარიღები ცნობილია, მონაწილენი - არა**

ფიდეს საიტზე გუშინ გამოქვეყნდა ფიდეს კალენდარი, რომელშიც მითითებულია ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა გრან პრის ექვსი ეტაპის გამართვის თარიღები და ადგილები. ერთ-ერთ ეტაპს გაისად თბილისი უმასპინძლებს. რაც შეეხება მონაწილეებს, ფიდეს პრეზიდენტმა **კირსან ილუმჟინოვმა** Chess-News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მხოლოდ ერთი დიდოსტატის სახელი გაამხილა - ეს არის რუსეთის ნაკრების წევრი, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი**, რომელიც თურმე შვეიცარიის მოქალაქეც ყოფილა და 2-14 მაისს ჟენევის პირველ ტურნირში ამ ქალაქის სახელით ისპარეზებს. აქვე, ქალთა ფიდეს გრან პრის ეტაპების გამართვის თარიღებსა და ადგილებსაც გაგაცნობთ:

**2013 წელი**

2-14 მაისი, ჟენევა (შვეიცარია);

15-29 ივნისი, დილიჟანი (სომხეთი);

17 სექტემბერი - 1 ოქტომბერი, ტაშკენტი (უზბეკეთი).

**2014 წელი**

2-16 მაისი, ხანტი-მანსიისკი (რუსეთი),

**18 ივნისი - 2 ივლისი, თბილისი (საქართველო)**

24 აგვისტო - 7 სექტემბერი, ერდენეტი (მონგოლეთი).

ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

# ქართული სამაია ანთალიაში

**სოფიო შაფათავა,** ეკატერინე გორგოძე და ოქსანა კალაშნიკოვა დღეიდან ჩოგბურთელ ქალთა ანთალიის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ჩაებმებიან. თან შაფათავა პირველ ნომრადაა განთესილი. გუშინ ჯერ კიდევ არ იყო სტარტზე მისი მეტოქის ვინაობა გარკვეული საკვალიფიკაციო ასპარეზობის დაუმთავრებლობის გამო. გორგოძეც საკვალიფიკაციოს ერთ-ერთ გამარჯვებულს შეხვდება, ხოლო კალაშნიკოვა (იგი მე-5 ნომერია) პირველ წრეში იულია სამუსევას დაუპირისპირდება.

წყვილებში კალაშნიკოვა კსენია პალკინასთან (ყირგიზეთი) ერთად პირველი ნომერია და მას ბულგარელთა (ბორისლავა ბოტუშაროვა, ვივიან ზლატანოვა) დუეტი გაუწევს მეტოქეობას. მესამე ნომრად განთესილ შაფათავა-გორგოძის ტანდემი ნატალია კოსტიჩასა (სერბეთი) და მონიკუ ზუურს (ჰოლანდია) შეხვდება.

მასალები მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**



● კრივი



კონსატანტინე ხვისტანი

## ახალგაზრდული...

ქუთაისის სპორტის სასახლეში გაშლილ რინგზე ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს პირველობა კრივში 1995-1996 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს შორის. 10 წონით კატეგორიაში ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 100 სპორტსმენი. ეს იყო აგვისტოში ჰოლანდიურ როტერდამში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ერთ-ერთი მოსამზადებელი შეჯიბრება. ძირითადად, სწორედ საქართველოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით დაკომპლექტება ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც საბოლოოდ მომდევნო ტურნირებზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით ჩამოყალიბდება. ქუთაისში ამ პირველობას საქართველოს კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობა მთელი შემადგენლობით ადევნებდა თვალს. ფინალურ ორთაბრძოლებს სპორტის მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძეც** დაესწრო. საინტერესოა, ყველაზე მეტი - 9 ფინალისტი, ქუთაისური კრივის სკოლის წარმომადგენელი იყო. ხუთი მათგანი ჩემპიონი გახდა. ეს შანსი ტრავმის გამო ხელიდან გაუშვა 64 კილოგრამში წონის ფავორიტმა **ჯემალ შალამბერიძემ,** რომელმაც რინგზე გასვლა ვერ მოახერხა და ფინალი ფოთელ **ნუკრი ადამიას** უბრძოლველად დაუთმო. სხვა წონებში პირველობა ფავორიტებმა მოიპოვეს.

**დავით კვაჭაძე** (საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი): *„ნაკრებში მოხვედრის მოტივაცია თითოეული მოკრივისთვის დიდი სტიმული იყო. სამწუხაროდ, მათი დონე არცთუ ისე მაღალი გამოდგა. ნაკრების მწვრთნელებს ძალიან დიდი შრომა დასჭირდებათ, რომ ევროპის ჩემპიონატამდე სპორტსმენები სასურველ კონდიციებამდე მიიყვანონ. პერსპექტიული მოკრივეები გვყავს და ეს გვაიმედებს. კონტინენტის პირველობამდე შეკრებებსა და ტურნირებზე დადგინდება საბოლოო შემადგენლობა. საქართველოს პირველობის მოგება ნაკრებში ადგილის დაბევების გარანტია არ არის, როტერდამში ის მოკრივეები წავლენ რომლებიც თავს მომდევნო შეჯიბრებებშიც გამოიჩენენ."*

**თამაზ თევზაძე:** *„გამარჯვებულებს და მათ მწვრთნელებს ვულოცავ საქართველოს ჩემპიონობას, რაც ნამდვილად საამაყოა. კრივი ოლიმპიური, პრიორიტეტული სპორტის სახეობაა და მისი განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა წარმატებები ვუსურვო კრივის ფედერაციას, რომელიც ცდილობს ყველაფერი გააკეთოს ქართული კრივის ასაღორძინებლად და იმ დიდი ტრადიციების დასაბრუნებლად რომელიც ქართულ კრივს გააჩნდა. მადლობა ქუთაისს ჩემპიონატის კარგი მასპინძლობისთვის..."*

**კუკური შავგულიძე** (საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *„ევროპის ჩემპიონატამდე სამი საერთაშორისო ტურნირია დაგეგმილი, რის შემდეგაც ნაკრები საბოლოოდ დაკომპლექტება. საქართველოს ჩემპიონატზე მოკრივეების დონე სახარბიელო არ იყო, 4-5 მათგანი ნამდვილად იმსახურებს ნაკრებში ასპარეზობას, ზოგიერთისგან კი მეტს ველოდით. იმედია, მომდევნო ტურნირებზე თავს უკეთ წარმოაჩენენ".*

### კვარცხლბეკი

**49კგ.** 1. აბას ალაკპეროვი (თბილისი), 2. ლაშა კობახიძე (გორი), 3. გიორგი ხაჩიძე (რუსთავი), 3. სანდრო საპანაძე (ქუთაისი);

**52კგ.** 1. ლევან კლდიაშვილი (ქუთაისი), 2. მიხეილ ჭინჭარაული (თბილისი), 3. ავთო თევდორაძე (გორი), 3. საბირ ქირიმოვი (თბილისი);

**56კგ.** 1. ზაურ ხურციძე (ქუთაისი), 2. ლაშა გურული (რუსთავი), 3. ლუკა ლემონჯავა (ფოთი), 3. გიორგი ცისკარიშვილი (თბილისი);

**60კგ.** 1. ამირან მარგველაშვილი (ქუთაისი), 2.ალექსანდრე ლურსმანიშვილი, 3. უჩა ყაველაშვილი (ორივე - გორი), 3. აჩიკო ტურავა (ფოთი);

**64კგ.** 1. ნუკრი ადამია (ფოთი), 2. ჯემალ შალამბერიძე (ქუთაისი), 3. არჩილ ტეტუნაშვილი (თბილისი), 3. ომარ მახათაძე (ჭიათურა);

**69კგ.** 1. კონსატანტინე ხვისტანი (ქუთაისი), 2. ირაკლი ალანიძე, 3. ბექა დანელია (ორივე - ფოთი), 3. თევდორე ყანდიაშვილი (გურჯაანი);

**75კგ.** 1. ირაკლი ქათამაძე, 2. გიორგი გიორგაძე (ორივე - ქუთაისი), 3. დავით ლომაძე (ფოთი), 3. პავლე გოგოლაძე (ჭიათურა);

**81კგ.** 1. ვასილ წინილაშვილი (ფოთი), 2. გიგა ბუზალაძე (გორი), 3. რევაზ ტყეშელაშვილი (რუსთავი), 3. ლევან დეისაძე (ტყიბული);

**91კგ.** 1. გიორგი ურჯუმელაშვილი (გორი), 2. გიორგი აბესაძე (ქუთაისი), 3. გიორგი სალაძე (ზესტაფონი), 3. ლევან ხარძიანი (გარდაბანი);

**91+.** 1. დემურ მაჭარაშვილი (რუსთავი), 2. ლაშა ახალაძე (ქუთაისი), 3. ალექსანდრე პეტროსიანი (თბილისი), 3. არგიშდი ელიზბარიანი (ახალქალაქი).

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ლეგიონის კვირა

# ცქიტიშვილის სარკისებური მატჩი: 21 და 12

## ზაზა ფაჩულია: დომინიკ უილკინსისგან ვიცი...

ლიბანის ჩემპიონატში მეორე ეტაპზე სამი ტურია გამართული. **ნიკა ცქიტიშვილის** „ჩამპვილს" ერთი მატჩი აქვს მოგებული, თუმცა წინ კიდევ არაერთი შეხვედრაა და ბეირუთელებს სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესება ნამდვილად შეუძლიათ.

ერთადერთი გამარჯვება ჩამპვილელებმა „მუტაჰედთან" მოიპოვეს, რომელიც სარკისებური ანგარიშით, 76:67 დაამარცხეს. ამ შეხვედრაში სკიტამ შეუცვლელად იასპარეზა და ქულა-მოხსნებიც სარკისებურად შეუფარდა ერთმანეთს - 21/12. 21-დან 8 მოხსნა მეტოქის ფარზე მიითვალა, ხოლო სამქულიანები ჩვეული სიზუსტით რომ ესროლა, შესაძლოა ქულების მაჩვენებელს მოხსნებისთვის გაესწრო. ნიკამ 7-დან 4 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო გამოიყენა, ხოლო ხუთი სამქულიანიდან მიზანში ერთიც ვერ მოარტყა.

„ალ რიადთან" სტუმრად გამართული შეხვედრის სტატისტიკას ცხრილშიც ნახავთ, მასზე აქ აღარ შევჩერდებით.

### იტალია

მარტში **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკი" ისეთივე სტაბილური ვერ არის, როგორც იანვარში. ევროლიგაზე თუ ევროგრანდებთან უწევს „ჭიდაობა", იტალიის ჩემპიონატში ისეთ გუნდებთან აგებს, შემადგენლობით ნამდვილად რომ ვერ სჯობნიან. ამის მაგალითი კვირას „კასერტასთან" მარცხი იყო.

ვიქტორმა 8 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის. გაცილებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ „ოლიმპიაკოსთან" ევროლიგის მატჩის მსგავსად, როცა „მონტეპასკის" მწვრთნელს ბოლო წუთებზე გარკვეული ჩამორჩენის აღმოფხვრა დასჭირდა, ნომინალური ცენტრი თამაშიდან მოხსნა და შეხვედრის გადარჩენა ვიქტორს მიანდო. ...თუმცა, სიენელებმა მარცხს თავი ვერც ერთ შემთხვევაში დააღწიეს.

შედეგად, იტალიის ჩემპიონატში „მონტეპასკი" მეექვსე ადგილზეა და ოთხი მოგებით ჩამორჩება პირველ პოზიციაზე მყოფ „დინამო სასარის". ევროლიგაზე კი „ოლიმპიაკოსსაც" და სიენურ გუნდსაც 7-7 გმარჯვება (4-4 წაგება) აქვთ და მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ. ჯგუფიდან მეოთხედფინალში გამსვლელ კვარტეტში მოხვედრისთვის ორივეს ჰაერივით სჭირდება ამ კვირაში გამარჯვება. 22 მარტს „მონტეპასკი" აუტსაიდერ „ბეშიქთაშს" ეწვევა, ხოლო „ოლიმპიაკოსი" „მაქაბის" მიიღებს.

იტალიის ჩემპიონატის მესამე ლიგაში გასულ კვირას დასვენება იყო გამოცხადებული. ამიტომ არ უთამაშიათ „ომენასა" და „კასალპუსტერლენგოს" ლეგიონერებს, **ნიკა მეტრეველსა** და **გიგა ჯანელიძეს**. სამაგიეროდ ერთწლიანი შესვენების შემდეგ სერია A-ში დაბრუნდა **ჯეიკობ პულენი.** იგი 2011-12 წლების სეზონში „ბიელას" ღირსებას იცავდა, შემდეგ იერუსალიმის „ჰაპოელში" გადავიდა. თუმცა, გასულ კვირას ისრაელიდან იტალიაში გადაბარგდა, ბოლონიის „ვირტუსში" ჩაირიცხა და პირველი მატჩი 17 მარტს „რეჯო ემილიას" წინააღმდეგ გამართა. ბოლონიელებმა 82:74 გაიმარჯვეს. საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა (ჯერჯერობით უცნობია, ევრობასკეტზე ისევ პულენი გვეყოლება, თუ სხვა კალათბურთელს დავიმატებთ) 21 წუთში 22 ქულა ჩააგდო - 6/5 ორქულიანი, 5/3 სამიანი, 6/3 საჯარიმო.

„ვირტუსი" მე-13 ადგილზეა და საპლეიოფო რვაეულში გასასვლელად დარჩენილ 7 ტურში ხუთი მატჩი მაინც უნდა მოიგოს.

### აშშ

მოვლენები ერთმანეთს მეტად არასასიამოვნოდ დაემთხვა ამერიკაში. **ზაზა ფაჩულიასა** და **თორნიკე შენგელიას** გუნდებმა ერთმანეთში ოთხჯერ ითამაშეს. საწყის ორ შემთხვევაში ზაზამ ითამაშა და თორნიკემ დაისვენა, მომდევნო ორ მატჩში - პირიქით. გუშინ გამთენიისას „ბრუკლინმა" „ატლანტა" მიიღო და 93:105 დამარცხდა.

მწვრთნელმა შენგელიას მხოლოდ წუთნახევარი არგუნა, ფაჩულია კი განაცხადში არ იყო. მან „ჰოქსის" ზედიზედ მეშვიდე მატჩი გამოტოვა. ქართველი ცენტრის შესახებ ცალკე სტატია მოამზადა გამოცემა „ატლანტა კონსტიტუშენმა":

*„ჯერჯერობით უცნობია, როდის დაბრუნდება ზაზა ფაჩულია მოედანზე. მას აქილევსის მყესი აწუხებს.*

*- დღეს მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გაურკვეველია, როდის შევძლებ სრულფასოვნად ვარჯიშს. ექიმების პასუხებს ველი. იმედი მაქვს, მკურნალობა დადებით შედეგს გამოიღებს და სიტუაცია უკეთესობისკენ წავა, - განაცხადა ზაზამ და დასძინა:*

*- აქილევსის მყესის დაზიანება სერიოზულ მიხედვას მოითხოვს. დომინიკ უილკინსისგან ვიცი, რომ ასეთი ტრავმის გამო მას ერთი წელი გაუცდა. ძალიან საშიში რამაა. კარიერის ისეთ ეტაპზე ვარ, დიდი ყურადღების გამოჩენა მმართებს (სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებს - ვ.ს) და სწორად მკურნალობა მჭირდება.*

*ქართველი ცენტრი მიმდინარე სეზონში 52 მატჩში საშუალოდ 21.8 წუთში 5.9 ქულასა და 6.5 მოხსნას აგროვებს."*

**ვაჟა სიმონიშვილი**



ნიკა ცქიტიშვილი „ალ რიადთან" მატჩისას



ჯეიკობ პულენმა ბოლონიაში 22 ქულით დაიწყო



ზაზა ფაჩულიას მოედანზე დაბრუნების თარიღი ჯერ უცნობია




| მოთამაშე | გუნდი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (აშშ) | NBA | მაიამი VS | 8 | ტრავმა | | | | | |
| | | NBA | VS ლეიკერსი | 9 | ტრავმა | | | | | |
| | | NBA | VS ფინიქსი | 1 | ტრავმა | | | | | |
| | | NBA | ბრუკლინი VS | 9 | ტრავმა | | | | | |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (აშშ) | NBA | ფილადელფია VS | 1 | არ უთამაშია | | | | | |
| | ბრუკლინი (აშშ) | NBA | VS ნიუ ორლეანი | 1 | არ უთამაშია | | | | | |
| | სპრინგფილდი (აშშ) | NBDL | VS ფორტ უეინი | 1 | 3 | 1 | 5 | 2 | 0 | 1 |
| | ბრუკლინი (აშშ) | NBA | VS ატლანტა | 9 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | გალათასარაი (თურქ) | თურქეთის ჩემპ. | მერსინი VS | 6 | 2 | 9 | 0 | 0 | 2 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტალია) | ევროლიგა | VS ოლიმპიაკოსი (საბ) | 6 | 1 | 2 | 5 | 1 | 0 | 0 |
| | | იტალიის ჩემპ. | კასერტა VS | 7 | 2 | 8 | 7 | 1 | 2 | 0 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | ევროლიგა | მონტეპასკი (იტა) VS | 6 | 1 | 8 | 4 | 0 | 0 | 0 |
| | | საბერძნეთის ჩემპ. | VS კოლოსოსი | 7 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | ევროთასი | VS სპარტაკი (რუს) | 7 | 1 | 0 | 3 | 2 | 1 | 0 |
| | | უკრაინის ჩემპ. | დნიპრო VS | 7 | 2 | 1 | 3 | 5 | 1 | 1 |
| | | უკრაინის ჩემპ. | დნიპრო VS | 8 | 2 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპანეთი) | ესპანეთის ჩემპ. | გრან კანარია VS | 6 | 1 | 5 | 3 | 1 | 1 | 0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | ლიბანის ჩემპ. | VS მუტაჰედი | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 |
| | | ლიბანის ჩემპ. | ალ რიადი VS | 7 | 3 | 1 | 6 | 0 | 3 | 0 |

ქართული ბიბლიოთეკა

შვიდკაცა რაგბი. მსოფლიოს სერია

# პირველი შესარჩევი ჰონგ კონგში იქნება

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები ივლისის დასაწყისში, მოსკოვში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას იწყებს. გუნდი ჰონგ კონგში გაემგზავრა, სადაც მომავალ უქმეებზე შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს სერიის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებს.

შეჯიბრებაში 12 გუნდი სამ ჯგუფშია განაწილებული. საქართველოს ნაკრების მეტოქეები იაპონიის, ბრაზილიისა და იამაიკის ნაკრებები იქნებიან. ამ ტურნირზე ჩვენი გუნდის მიზანი ოთხ საუკეთესოს შორის მოხვედრაა.

„ჰონგ კონგში ძალიან რთული მატჩები გველის. თუმცა, კარგია, რომ საბრძოლო შემადგენლობით მივემგ ზავრებით. გუნდს ეროვნული ნაკრებიდან დაემატნენ ის „ბორჯღალოსნები", რომლებსაც შვიდკაცა რაგბის თამაშის გამოცდილება აქვთ.

უნდა მოვახერხოთ და ოთხეულში მოვხვდეთ, რათა ლონდონის შვიდკაცას ტურნირზე მონაწილეობის უფლება მივილოთ და თუ იქ სამეულში მოვხვდებით, მაშინ საშუალება გვექნება მომავალი სეზონიდან მსოფლიოს სერიის ყველა ეტაპზე ვიასპარეზოთ" - თქვა საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კახა ალანიამ.**


ალექსანდრე თოდუა

საქართველოს შვიდკაცა ნაკრებში ხუთი „ბორჯღალოსანია": **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი), **ირაკლი მაჩხანელი** (არმაზი), **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო), **ლაშა ხმალაძე** (ლელო) და **ალექსანდრე თოდუა** (ალბი). მათ სხვადასხვა დროს მსოფლიოს სერიის ეტაპებზე თამაშის გამოცდილება აქვთ.

## საქართველო

ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), ლაშა ხმალაძე (ლელო), ირაკლი ღვინჯილია (ლოკომოტივი), შავლეგ მახარაშვილი (ბათუმი), გიორგი ფრუიძე, ზურაბ ძნელაძე (ორივე-აია), ალექსანდრე თოდუა (ალბი), ლევან გოგოლიშვილი, გიორგი ჯიმშელაძე (ორივე-არმია).

ლეგიონერები


ბურთით დავით დადუნაშვილი

# ბრძოლას ისევ ხუთი განაგრძობს

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ პირველ დივიზიონში ევროპული სანაკრებო ბატალიების გამო შესვენება იყო. სამაგიეროდ ცხარე ბრძოლები გაიმართა მეორე დივიზიონში, სადაც პლეი ოფში მოსახვედრად ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდი იბრძვის: „პო", „ბრივი", „ორიაკი", „ტარბი" და „ლიონი".

„ქართული გუნდებიდან" საუკეთესო მაჩვენებელი **მამუკა მაგრაქველიძის** „პოს" აქვს, რომელიც რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე 75 ქულით მეორე ადგილზეა. „პომ" 24-ე ტურში შინ დაამარცხა **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი" - 12:9.

ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს, რომ მატჩი უაღრესად დაძაბული გამოვიდა. შეხვედრის არბიტრმა ორი მორაგბე გაასინბინა, მათ შორის ქართველი შერკინების ბურჯი დავით ხინჩაგიშვილი, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე გოდერძი შველიძემ შეცვალა. ნატრიაშვილმა საქართველოს ნაკრებში ითამაშა, მაგრაქველიძე განაცხადში არ იყო.

მარცხის შემდეგ „ბრივი" ექვსი ქულით ჩამორჩება „პოს" და მე-4 ადგილზეა. ბრიველებზე ოთხი ქულით ნაკლები დაუგროვდათ და მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფენ „ორიაკი" და „ტარბი". **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა და გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა შინ გათამაშების ლიდერ „ოიონაქსთან" - 23:22.

მასპინძლები მე-60 წუთამდე ათი ქულის სხვაობით აგებდნენ - 9:19, თუმცა დასკვნით 20 წუთში თითქმის შეუძლებელი, შეძლეს. გამარჯვების მომტანი ლელო ორიაკელებმა შეხვედრის ბოლო წუთზე გაიტანეს და ლიდერს მესამე მარცხი აგემეს.

ნაცარაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს, ასეიშვილი მოედანზე 72-ე წუთიდან გამოჩნდა, დათუნაშვილმა „ბორჯღალოსანთა" რიგებში იასპარეზა.

**გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილის, გიორგი ნემსაძისა და ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" შინ დაამარცხა **შალვა სუთიაშვილისა და დავით აშვეთიას** „მასი" - 29:26. პირველი ტაიმი პარიზელებმა, რომლებიც 27 ქულით აუტსაიდერები არიან, 16:13 მოიგეს. ტარბელებს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდათ საიმისოდ, რომ მატჩის ბედი სათავისოდ შემოებრუნებინათ. ისინი 57-ე წუთისთვის 13 ქულით დაწინაურდნენ - 29:16. სტუმრებმა ამ ჩამორჩენის გასაბათილებლად არაფერი დაიშურეს, თუმცა ანგარიშის მხოლოდ სამ ქულამდე შემცირება შეძლეს.

ნემსაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, დადუნაშვილი და მირცხულავა 51-ე წუთზე შეცვალეს, ორი წუთით ადრე კი, მოედანზე აშვეთია გამოჩნდა, სუთიაშვილმა და ჩხაიძემ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ითამაშეს.

საპლეიოფო ხუთეულს საგრძნობლად მიუახლოვდა **გურამ კავთიძის** „ლიონი", რომელიც სტუმრად ფრეს დასჯერდა „კოლომიესთან" - 19:19 და ახლა 60 ქულით მე-7 ადგილზეა. კავთიძე განაცხადში არ იყო.

სამწუხაროდ, სატურნირო ცხრილის ბოლო სამი საფეხური ქართველ მორაგბეთა გუნდებს უკავიათ. „მასის" თაობაზე უკვე ვთქვით. 35 ქულით ბოლოსწინა, მე-15 ადგილზეა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე", რომელმაც შინ მოუგო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელ „ლა როშელს" - 31:25. შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეცვალეს.

ლანგედოკელებზე ერთი ქულით მეტი აქვს და მე-14 ადგილზეა **ტარიელ რატიანიძის** „დაქსი", რომელმაც შინ დაამარცხა პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლი „კარკასონი" - 22:9. რატიანიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს.

## II დივიზიონი

### XXIV ტური

ექსი-ნარბონი 28:22, ბეზიე-ლა როშელი 31:25, ოში-ალბი 22:10, ორიაკი-ოიონაქსი 23:22, ტარბი-მასი 29:26, დაქსი-კარკასონი 22:9, პო-ბრივი 12:9, კოლომიე-ლიონი 19:19.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ოიონქსი - 93 ქულა, 2. პო - 75, 3. ლა როშელი - 73, 4. ბრივი - 69, 5. ორიაკი - 65, 6. ტარბი - 65, 7. ლიონი - 60, 8. კარკასონი - 60, 9. ნარბონი - 57, 10. კოლომიე - 54, 11. ალბი - 49, 12. ოში - 39, 13. ექსი - 38, 14. დაქსი - 36, 15. ბეზიე - 35, 16. მასი - 27.

ევროპის ჩემპიონატი. U-18

# ქართულ-ინგლისური თანამშრომლობა გრძელდება

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ინგლისური ტურნე დაასრულა და საფრანგეთში, გრენობლში გაემგზავრა, სადაც ევროპის ჩემპიონატში ჩაერთვება. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ბოლო საწვრთნელი შეხვედრა ინგლისის 17-წლამდლეთა ნაკრებთან გამართეს. მარცხის (13:24) მიუხედავად, გუნდის მწვრთნელთა შტაბი მზადების პროცესით კმაყოფილია.

**ილია მაისურაძე,** საქართველოს 18-წლამდლეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ინგლისის ნაკრებთან თამაში კარგად დავიწყეთ, ორივე გუნდი ფიზიკური ძალის დემონსტრირებაზე აკეთებდა აქცენტს. 28-ე წუთისთვის 7:5-ს ვიგებდით, თუმცა პირველი ტაიმი 7:12 წავაგეთ. მეორე ტაიმში ცვლილებები განვახორციელეთ. ფიზიკურად ბევრად უკეთ მომზადებულ მეტოქესთან ბოლომდე წინააღმდეგობის გაწევა გაგვიჭირდა და ძირითადად დაცვაში მოგვიწია თამაშმა"

**დონ კასკი,** საქართველოს სარაგბო აკადემიის მენეჯერი: „ალბათ, ყველა იმედგაცრუებულია მატჩის შედეგის გამო, მაგრამ ვფიქრობ, მორაგბეები უნდა ამაყობდნენ თავიანთი თამაშით - მათ მაღალი კლასის რაგბი აჩვენეს. ეს მატჩი კიდევ ერთი ღირსეული ნაბიჯია ქართული რაგბის მომავალი თაობის განვითარების გრძელ გზაზე. ახალგაზრდა ინგლისელებთან თამაშმა გვასწავლა, რომ თანამედროვე რაგბიში მცირეოდენი შეცდომაც კი მყისიერად ისჯება.

მატჩის შემდეგ ვესაუბრე ინგლისის ნაკრების მწვრთნელებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ შარშანდელთან შედარებით, ქართველმა ჭაბუკებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თამაშის ხარისხი. მათ მიაჩნიათ, რომ თანდათან ინგრევა მითი იმის შესახებ, რომ ქართველი მორაგბეები მხოლოდ შერკინების ხარჯზე გადიან ფონს. ჩვენი თამაშის სტილით ისინი იმდენად მოიხიბლნენ, რომ გამოთქვეს სურვილი, საწვრთნელი მატჩები ყოველწლიურად გავმართოთ."

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ინგლისის ასაკობრივი ნაკრებების თანამშრომლობა წელსვე გაგრძელდება. მაისში თბილისში ჩამოვა ინგლისის 20-წლამდელთა ნაკრები, რომელიც სამი კვირის განმავლობაში საწვრთნელ შეკრებას გამართავს და ჩვენი ქვეყნის 19-წლამდელთა გუნდს რამდენჯერმე საკონტროლო მატჩში დაუპირისპირდება. „უმცროსი პომები" თბილისში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის მოემზადებიან.

## საქართველო

**პირველი ხაზი:** ზაურ ხარებავა (რაინდები), დავით ფხაკაძე (ივერია), ბადრი ალხაზიშვილი (ინგლისი), გიორგი ტორაძე, გუგა ხანთაძე (ორივე-აია), ბექა კაკაბაძე (ლოკომოტივი).

**მეორე ხაზი:** როლანდ კვაჭაძე (ლელო), თორნიკე ზოიძე (აკადემია), ბექა გორგაძე (ხარები).

**მესამე ხაზი:** თორნიკე ბუბუტეიშვილი (ლელო), დავით პაპავაძე (ჯიქები), ჟორა მღებრიშვილი (ხარები), გიორგი ხვისტანი (ყოჩები), ბადრი დანგაძე (აია).

**№9:** ვასილ ლობჟანიძე (არმაზი), თეიმურაზ თუთბერიძე (აია), დავით გულიტაშვილი (ხარები).

**№10:** რევაზ ჯინჭველაშვილი (აია).

**№12-13:** სანდრო ილურიძე (აკადემია), თემურ ირემაძე (აია), ლევან გიკაშვილი (ლელო).

**№11-14:** დევი დევსურაშვილი (ხულიგანა), ბადრი ლიპარტელიანი (ივერია), დავით ლობჟანიძე (ლელო).

**№15:** ირაკლი სვანიძე (ხულიგანა).



# აღდგენილი თანამშრომლობა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს რაგბის კავშირმა და კომპანია RMG GOLDMA-მ ახალ სასპონსორო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ეს კომპანია ქართულ რაგბის 2004 წლიდან უდგას გვერდში, მაგრამ ცოტა ხნის წინ, ეს ურთიერთობა გარკვეული მიზეზების გამო შეფერხდა.

ამჯერად, თანამშრომლობა აღდგენილია. ხელი მოეწერა ორწლიან კონტრაქტს, რომელიც ახალ პირობებთან ერთად, ძველი ვალდებულებების შესრულებასაც ითვალისწინებს. როგორც რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ** თქვა - ხელშეკრულება 2015 წლის 1 იანვრამდე იმოქმედებს და დასრულების შემდეგ, ის გაგრძელდება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

### კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამი 22-მდე ავიდა

„მაიამიმ“ 3 თებერვალს, ტორონტოში დაიწყო თავისი ფენომენალური სერია და გუშინ, კვლავ კანადაში ჩავიდა სათამაშოდ, რათა გაემეორებინა „ჰიუსტონის“ ხუთი წლის წინანდელი რეკორდი - ზედიზედ 22 გამარჯვება რეგულარულ ჩემპიონატში. ფლორიდილებმა ეს გამარჯვება საკმაოდ იოლად მოიპოვეს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არ იხარჯებოდნენ მოედანზე და ფარიც დაუთმეს მეტოქეს. ერთი მომენტი, „ჰიტის“ თამაშიდან რეალიზაციის პროცენტი 60-ს აჭარბებდა. ჩემპიონს მხოლოდ ერთხელ, მესამე მეოთხედში გამოეპარა მეტოქის გაქცევა (16:3), რის შემდეგაც „ტორონტო“ ერთ ქულამდე მიუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ **რეი ალენმა** იქვე შეახსენა ყველას, რომ ყველაზე კარგად ისვრის სამქულიანებს (5-დან 4). ყოველგვარი პრობლემის გარეშე „ჰიტმა“ 15-ქულიანი უპირატესობა დაიბრუნა და მეოთხე მეოთხედი ფორმალობად გადაიქცა.

სხვათა შორის, გუშინ „ტორონტოს“ ნაგება და „მილუოკის“ „ორლანდოზე“ გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ აღმოსავლეთში პლეი ოფის რვა გუნდი 99 პროცენტით გარკვეულია და რეგულარულის დარჩენილი თამაშები მხოლოდ ტოპ8-ში ადგილების გადანაწილებისთვის იქნება საჭირო.

დასავლეთში კი პლეი ოფში გამსვლელების მხრივ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი. „დალასი“ კიდევ ერთი ნაბიჯით დაშორდა პლეი ოფის საგზურს, როცა ზედიზედ მეათედ წააგო ოკლაჰომაში. არადა, „მავერიქსმა“ დიდი ბრძოლა გაუმართა დასავლეთის ერთ-ერთ ლიდერს. მთელი მატჩის განმავლობაში სხვაობა შვიდ ქულაზე მეტი არ ყოფილა, ყველაფერი კი გადაწყვიტა **კევინ დურანტის** ბრწყინვალე თამაშმა მეოთხე მეოთხედში - ბოლო 12 წუთის განმავლობაში ფორვარდმა 19 ქულა დააგროვა. მიუხედავად ამისა, „დალასს“ ჰქონდა გადარჩენის შანსი, როცა ბოლო წუთზე **დირკ ნოვიცკიმ** ანგარიში გაათანაბრა (101:101), მაგრამ ამას მოჰყვა **უესტბრუკისა** და **სეფოლოშას** ზედიზედ ორი შედეგიანი შეტევა და დურანტის დაფარება დაცვაში. „მავერიქსს“ ჯერ კიდევ შეუძლია პლეი ოფისთვის ბრძოლა, რადგან მომდევნო შვიდ თამაშს ეს გუნდი საკუთარ არენაზე ატარებს. „ოკლაჰომა“ კი ამ მოგებით მეორე გუნდი გახდა დასავლეთში, რომელმაც პლეი ოფში თამაში გაინაღდა.

იმყარებს თავის პოზიციებს პირველ რვა გუნდში „ლეიკერსი“, რომელმაც ბოლო შვიდ მატჩში მეექვსედ მოიგო. **მაიკ დ'ენტონის** გუნდმა უკვე ორი მოგებით გაუსწრო მეცხრე პოზიციაზე მყოფ „იუტას“. **კობი ბრაიანტის** გარეშე მოთამაშე კალიფორნიელებს არ ჰქონიათ იოლი მატჩი „საკრამენტოსთან“. „კინგზმა“ რამდენჯერმე ხუთი ქულით წინ გასვლა მოახერხა, მეოთხე მეოთხედში კი ორ ქულამდე მიუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ სწორედ აქ გამოეპარა „ლეიკერსის“ 11:3 გაქცევა, რის შემდეგაც მატჩის ბოლომდე გონს ვერ მოვიდა.


ბურთით ლებრონ ჯეიმსი

**ტორონტო-მაიამი 91:108**

19:27, 24:28, 30:21, 18:32

ტ: გეი (27+8 მოხსნა), ვალანჩუნასი (18+7 მოხსნა), ა. ჯონსონი (18+18 მოხსნა), დეროზანი (12), როსი (12+5 მოხსნა).

მ: უეიდი (24+9 პასი), ჯეიმსი (22+12 მოხსნა+8 პასი), ალენი (20), ბოში (18).

**მილუოკი-ორლანდო 115:109**

8:25, 26:29, 26:27, 45:28

მ: ელისი (39+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ილიასოვა (20+11 მოხსნა), ჯენინგსი (15+14 პასი), სანდერსი (13+11 მოხსნა).

ო: აფლალო (24), ჰარკლესი (23+9 მოხსნა), ვუჩევიჩი (20+15 მოხსნა), ნელსონი (16+6 პასი+4 ჩაჭრა), ჰარისი (14+8 მოხსნა).

**კლიპერსი-ნიუ იორკი 93:80**

21:18, 23:19, 28:23, 21:20

კ: პოლი (20+8 პასი), ბატლერი (14+5 მოხსნა), გრიფინი (12+12 მოხსნა), ბილაპსი (12+5 პასი), კროუფორდი (12), ჯორდანი (8+10 მოხსნა).

ნ-ი: სმითი (17+6 მოხსნა), ფელტონი (16+9 პასი), კოუპლენდი (13), კიდი (11).

**ჰიუსტონი-გ. სტეიტი 78:108**

10:18, 21:36, 29:21, 18:33

ჰ: ჰარდენი (21+10 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), ლინი (21), დელფინო (12), აშიკი (6+11 მოხსნა+3 დაფარება).

გ-ს: კარი (29+5 მოხსნა+11 პასი), ტომპსონი (26), ბოგუტი (12+12 მოხსნა+3 დაფარება), ლი (10+10 მოხსნა).

**მინესოტა-ნიუ ორლეანი 97:95**

28:27, 22:25, 26:21, 21:22

მ: უილიამსი (28+7 მოხსნა), რუბიო (16+6 პასი), პეკოვიჩი (13+6 მოხსნა), რიდნური (10+6 პასი).

ნ-ო: ვასკესი (24+7 მოხსნა+5 პასი), ლოპესი (20+11 მოხსნა), დევისი (17+9 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**დალასი-ოკლაჰომა 101:107**

26:24, 23:26, 23:23, 29:34

დ: ნოვიცკი (23+7 მოხსნა), კარტერი (18), მ. ჯეიმსი (14), კოლისონი (12), კრაუდერი (11).

ო: უესტბრუკი (35+6 მოხსნა+6 პასი), დურანტი (31+9 მოხსნა), იბაკა (18+16 მოხსნა+3 დაფარება).

**ბრუკლინი-ატლანტა 93:105**

24:21, 25:30, 24:20, 20:34

ბ: უილიამსი (18+8 პასი+3 ჩაჭრა), ჯონსონი (18), ლოპესი (17+6 მოხსნა), რ. ევანსი (14+22 მოხსნა).

ა: ჰორფორდი (22+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), სმითი (21+7 მოხსნა+5 პასი), ჯონსი (13), კორვერი (12), ტიგი (11+5 მოხსნა+15 პასი).

**ლეიკერსი-საკრამენტო 113:102**

33:27, 23:29, 30:20, 27:26

ლ: ჯეიმისონი (27+9 მოხსნა), უორლდ პისი (22), ნეში (19+12 პასი), ბლეიკი (16+5 მოხსნა+8 პასი), ჰოვარდი (12+17 მოხსნა+5 დაფარება), კლარკი (11+8 მოხსნა).

ს: ტომასი (26+6 პასი), პატერსონი (22+5 მოხსნა), ტორნტონი (15), ტ. ევანსი (13+5 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), დაგლასი (11).

### კრივი

# თითქმის გალახული ჩემპიონი

გასულ უქმეებზე მთავარი ორთაბრძოლა ლოს ანჯელესში გაიმართა. ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონი, 29 წლის ამერიკელი **ტიმოტი ბრედლი** რუს პრეტენდენტს **რუსლან პროვოდნიკოვს** ხვდებოდა. შეგახსენებთ, რომ WBO-ის ტიტული ბრედლიმ სახელოვანი ფილიპინელის **მენი პაკიაოს** ძლევით მოიპოვა და ამ ბრძოლაშიც ფავორიტად მიიჩნეოდა.

მაგრამ რუსმა მოკრივემ ძალიან კარგად დაიწყო შეხვედრა და პირველ რაუნდში ბრედლი კინაღამ ნოკდაუნში აღმოჩნდა. მეორე რაუნდში ამერიკელის ცემა გაგრძელდა, მაგრამ ტიმოტიმ ისევ გაძლო, რის შემდეგაც, პროვოდნიკოვის მოქმედებას დაღლილობამ დაამჩნია კვალი. ამით ბრედლიმ კარგად ისარგებლა და ბრძოლა გათანაბრდა.

ამერიკელმა მოძრაობას უმატა და დისტანციიდან უტევდა მოწინააღმდეგეს. ამ ხერხით ჩემპიონმა ბევრი ქულა დააგროვა და მიუხედავად იმისა, რომ ბოლოსკენ რუსი ისევ გააქტიურდა, მსაჯებმა, საბოლოოდ, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გამარჯვება ამერიკელ მოკრივეს მიანიჭეს - 115:112, 114:113, 114:113.

სხვათა შორის, ბრძოლის შემდეგ პროვოდნიკოვის მენეჯერებმა გამოაცხადეს, რომ პროტესტს შეიტანენ WBO-ში უსამართლო მსაჯობის გამო, გარდა ამისა, ისინი მატჩრევანშს ითხოვენ ბრედლისგან.


ბრედლი და პროვოდნიკოვი

### ავტოსპორტი

# რალფი მოულოდნელად წავიდა


რალფ შუმახერი

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა, გერმანელმა **რალფ შუმახერმა** მოულოდნელად კარიერის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარული **მიხაელ შუმახერის** ძმამ თებერვალში გააფორმა ახალი კონტრაქტის DTM-ის სერიაში მოასპარეზე „მერსედესთან“, მაგრამ, ახლა, ტრასაზე გასვლა გადაიფიქრა და გერმანული საჯინიბოს ადმინისტრაციაში დაიკავა ადგილი. DTM-ში უმცროს შუმახერს ახალგაზრდა **პასკალ ვერლიაინი** შეცვლის.

რალფ შუმახერი 1997-2007 წლებში „ჯორდანის“, „უილიამსისა“ და „ტოიოტას“ ღირსებას იცავდა. მან ფორმულა 1-ში 180 რბოლა ჩაატარა და ექვსი გრანპრის მოიგო. გარდა ამისა, გერმანელი 27-ჯერ ავიდა პოდიუმზე და ექვსი პოული მოიპოვა. საერთო ჩათვლაში საუკეთესო შედეგი 2001 და 2002 წლებში ჰქონდა, როცა მეოთხე ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### ჩოგბურთი. ინდიან უელსი



# 600, 53, 22, 14 – ნადალის შთამბეჭდავი ციფრები

ბოლო ათი თვის განმავლობაში, ATP-ის უმსხვილესი ტურნირების ფინალში მხოლოდ სამ ჩოგბურთელს ვხედავდით – **ნოვაკ ჯოკოვიჩს, როჯერ ფედერერსა** და **ენდი მარეის**. ინდიან უელსის მასტერსი “დიდი სლემის” ან ოლიმპიადის დონეს ვერ „ქაჩავს“, მაგრამ ტურის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირია და ხშირად, “მეხუთე სლემსაც” უწოდებენ. აქ ფინალამდე ვერ მიაღწია ვერც ჯოკოვიჩმა, ვერც ფედერერმა და ვერც მარეიმ. ფინალის მონაწილეები გახდნენ **რაფაელ ნადალი და ხუან-მარტინ დელ პოტრო**, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო, ბოლო პერიოდში ჩრდილში იყვნენ მოქცეულნი.

შვიდთვიანი პაუზის შემდეგ გრუნტზე სამი ტურნირის თამაშით, ნადალმა შეძლო საჭირო ფორმის აკრეფა, მაგრამ თავად ეჭვობდა, რომ ინდიან უელსში გამოსვლას შეძლებდა, რისი მიზეზი მისთვის საძულველი ჰარდის საფარი იყო. ესპანელს, შესაძლოა, თავად გაუკვირდა ჰარდის პირველივე ტურნირზე ფინალში გასვლა. ყველაზე რთული მატჩი მან **ერნესტ გულბისის** წინააღმდეგ ითამაშა, რომელსაც ორი ბურთი აკლდა საბოლოო გამარჯვებამდე. რაფას შემდეგმა მეტოქეებმა – ფედერერმა და **ბერდიხმა** კი მესამე სეტამდეც ვერ მიაღწიეს. არგეტინელს კი, მოლოდინისამებრ, საკმაოდ რთული მატჩები გამოუვიდა მარეისთან და ჯოკოვიჩთან.

ფინალი უკეთ რაფაელმა დაიწყო. არგენტინელს პირველივე წუთებიდან ბევრი შეცდომა დაუგროვდა, რის გამოც საწყისი ორი გეიმი დათმო. უფრო მეტიც, ნადალს ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა მეორე ბრეიკისთვის. იმ მომენტში ხუან მარტინს ოდნავ გაუმართლა, მოწოდებაც დაეხმარა და დაიტოვა სეტში ბრძოლის შანსი. ნადალი დრო და დრო უთმობდა ინიციატივას მეტოქეს, რითაც არგენტინელმა სეტის შუაში ისარგებლა. ის ჯერ დაეწია მეტოქეს, შემდეგ კი თავისი აქტიურობის წყალობით მოიპოვა დაფარული სეტბოლი, რომლის დროსაც ესპანელმა ძალიან ააცილა ბურთი კორტს. დელ პოტრომ სეტზე ჩაწოდების უფლება მიიღო, ნადალმა ბევრი იბრძოლა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო – სამხრეთამერიკელმა წარმატებით შემოატრიალა სეტის ბედი.

არგენტინელმა განწყობა მეორე სეტის სტარტზე შეინარჩუნა და ბრეიკით გავიდა წინ. დელ პოტროს მასტერსის სერიის პირველი ტურნირის მოგების რეალური პერსპექტივა გაუჩნდა, მაგრამ ეს შანსი პარტიის შუაში გაქრა, როცა მისი ფორჰენდი აირია, რითაც ნადალმა ძალიან კარგად ისარგებლა. ახლა უკვე ესპანელმა დაუმატა აქტიურობას, ხშირად დაიწყო შეტევაში წასვლა და ამას ფენომენალური შედეგი მოჰყვა – ზედიზედ ხუთი გეიმის მოგება და სეტში გამარჯვების გაფორმება.

გადამწყვეტ პარტიაში არგენტინელის შანსები არც ისე მაღალი იყო. აქ საქმე მხოლოდ დაღლილობაში არ იყო, არამედ იმაშიც, რომ ნადალი ხელიდან არ უშვებს შანსს იმ დროს, როცა მეტოქეზე უპირატესობას გრძნობს. ხუან მარტინმა დიდი გაჭირვებით შეინარჩუნა პირველი გეიმი საკუთარ მოწოდებაზე, მეორე ცდიდან კი ნადალმა მაინც გააკეთა ბრეიკი. სიტუაციის გათანაბრების ერთადერთი შანსი არგენტინელს მომდევნო გეიმში ჰქონდა, როცა ნადალის მოწოდებაზე 15:30 იყო, მაგრამ არც აქ და არც მატჩის დარჩენილ დროში რაფაელს თავისი უპირატესობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია. მატჩის ბოლოს, დელ პოტრომ მოიგერია სამმაგი მატჩბოლი თავის მოწოდებაზე, მაგრამ შემდეგ ნადალმა ტიტულზე წარმატებით ჩააწოდა - 4:6, 6:3, 6:4.





### ნადალის ტიტულები (53)

2013 - ინდიან უელსი, აკაპულკო, სან პაულუ;
2012 - როლან გაროსი, რომი, ბარსელონა, მონტე კარლო;
2011 - როლან გაროსი, ბარსელონა, მონტე კარლო;
2010 - ტოკიო, აშშ-ის ღია, უიმბლდონი, როლან გაროსი, მადრიდი, რომი, მონტე კარლო;
2009 - რომი, ბარსელონა, მონტე კარლო, ინდიან უელსი, ავსტრალიის ღია;
2008 - ოლიმპიადა, ტორონტო, უიმბლდონი, ლონდონი, როლან გაროსი, ჰამბურგი, ბარსელონა, მონტე კარლო;
2007 - როლან გაროსი; შტუტგარტი, რომი, ბარსელონა, მონტე კარლო, ინდიან უელსი;
2006 - როლან გაროსი, რომი, ბარსელონა, მონტე კარლო, დუბაი;
2005 - მადრიდი, პეკინი, მონრეალი, შტუტგარტი, ბაშტადი, როლან გაროსი, რომი, ბარსელონა, მონტე კარლო, აკაპულკო, კოშტა დუ საუპე;
2004 - სოპოტი.

### მასტერსის გამარჯვებულები

1. რაფაელ ნადალი - 22
2. როჯერ ფედერერი - 21
3. ანდრე აგასი - 17
4. ნოვაკ ჯოკოვიჩი - 13
5. პიტ სამპრასი - 11.
6. ტომას მუსტერი - 8
6. ენდი მარეი - 8
8. მაიკლ ჩანგი - 7

### შარაპოვას ტიტულები (28)

2013 - ინდიან უელსი
2012 - როლან გაროსი, რომი, შტუტგარტი
2011 - ცინცინატი, რომი
2010 - სტრასბური, მემფისი
2009 - ტოკი
2008 - ამელია აილენდი, დოჰა, ავსტრალიის ღია
2007 - სან დიეგო
2006 - ინდიან უელსი, სან დიეგო, აშშ-ის ღია, ციურიხი, ლინცი
2005 - ტოკიო, დოჰა, ბირმინგემი
2004 - ბირმინგემი, უიმბლდონი, სეული, ტოკიო, შემაჯამებელი
2003 - ტოკიო, კვებეკი

ეს გამარჯვება მე-600 იყო ნადალის კარიერაში, მასტერსის სერიის ტურნირებზე კი 22-ედ გაიმარჯვა (სულ ტიტულების რიცხვი 53-ს შეადგენს), რითაც როჯერ ფედერერს გაუსწრო და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. რაც ყველაზე მთავარია, რაფაელმა ჰარდზე პირველი ტიტული მოიგო 2010 წლის შემდეგ. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მომენტისთვის პირენეელს ზედიზედ 14 მოგება დაუგროვდა, სულ კი 2013 წელს 18-დან 17 მოგება აქვს. და კიდევ, მან დაიბრუნა ესპანეთის პირველი ჩოგანის სტატუსი, რადგან ახალ რეიტინგში მეოთხე ადგილი ჩამოართვა **დავიდ ფერერს**.

თუმცა ნადალი ტოპ-ოთხეულში დიდი ხანი ვერ დარჩება. ესპანელი არ ითამაშებს მაიამის მასტერსზე, სადაც ერთი წლის წინ ნახევარფინალში გავიდა. ასევე არ იქნება ფლორიდაში როჯერ ფედერერი, ასე რომ, განთესვის პირველი ოთხი ნომერი ჯოკოვიჩს, მარეის, ფერერსა და ბერდიხს ერგებათ. ეს ტურნირის ოთხშაბათს აიღებს სტარტს.

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 5)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 7) 4:6, 6:3, 6:4.

### როცა აზარენკა და უილიამსი არ თამაშობენ

ინდიან უელსში, პარალელურად, ქალების უმაღლესი კატეგორიის ტურნირი მიმდინარეობდა, სადაც უფრო იოლი იყო გამარჯვებულის წინასწარმეტყველება. **სერენა უილიამსის** არყოფნამ და **ვიქტორია აზარენკას** ტრავმამ ტიტულისკენ გზა გაუხსნა **მარია შარაპოვას**. ეს ის ჩოგბურთელები არიან, რომლებიც რეგულარულად ამარცხებენ რუსს დიდ ტურნირებზე და მათ არყოფნაში, ინდიან უელსში არ აღმოჩნდა მეტოქე, რომელიც შეძლებდა მარიასთვის წინააღმდეგობის გაწევას.

შარაპოვას ფინალში ბოლო წლებში არასტაბილური და რეიტინგში მეათე ადგილამდე ჩამოქვეითებული **კაროლინ ვოზნიაცკი** დაუპირისპირდა. მათ შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 6:4 იყო რუსის სასარგებლოდ. რა შეეხება ინდიან უელსის ფინალამდე მათ მიერ გავლილ გზას, კაროლინისთვის ის უფრო მოკლე იყო, რადგან მას არ მოუწია მეოთხედფინალში აზარენკას წინააღმდეგ თამაში. ამასთან, დანიელს პრობლემები ჰქონდა ტურნირის სტარტზე **ალიზ კორნესთან** და ნახევარფინალში **ანჟელიკ კერბერთან**. ორივე შემთხვევაში დანიელმა მესამე სეტის ბოლოს დაამტკიცა თავისი უპირატესობა.

შარაპოვამ ხუთი შეხვედრა ჩაატარა და არც ერთი სეტი არ წააგო. მასაც ჰქონდა რთული მომენტები, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მიიწევდა წინ და ფინალამდე აშკარა ფავორიტის სტატუსით მივიდა.

პირველი ჩაწოდების უფლება ვოზნიაცკიმ მიიღო, მაგრამ პირველივე გეიმიდან ინიციატივა შარაპოვამ მოიპოვა. მან ისეთი შეტევები დაატეხა თავს მეტოქეს, რომლისთვისაც დანიელი მზად არ აღმოჩნდა. ვოზნიაცკი ცდილობდა აეძულებინა მეტოქე, რაც შეიძლება მეტი შეცდომა დაეშვა, მაგრამ ამ ტაქტიკამ არ გაამართლა, პირიქით, თავად სკანდინაველი პირველ სეტში რვაჯერ შეცდა ჰაერიდან თამაშის დროს. მეხუთე გეიმის შემდეგ, კაროლინმა კორტზე მამამისს უხმო. **პიოტრ ვოზნიაცკიმ** ურჩია ქალიშვილს, უფრო მეტად მიემართა მოჭრილი დარტყმებისთვის.

ცალკეული გათამაშებები დანიელს კარგად გამოსდიოდა, მაგრამ, საერთო ჯამში, რუსს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა. მართალია, მრავალფეროვანი თამაშით მარია არ გამოირჩეოდა, მაგრამ უკანა ხაზიდან ღრმა დარტყმებიც საკმარისი იყო უპირატესობის მოსაპოვებლად.

რუსმა დამაჯერებლად მოიგო პირველი სეტი, მიუხედავად იმისა, რომ 38 პროცენტის სიზუსტით აწვდიდა პირველ ბურთს. მეორე სეტში განსაკუთრებული ცვლილება თამაშში არ მომხდარა. კაროლინი რაღაცის შეცვლას ცდილობდა, მაგრამ ხშირად ყველაფერი არაზუსტი დარტყმით სრულდებოდა. მსოფლიოს მეორე ჩოგანს უდიდესი უპირატესობა ჰქონდა “ვინერსების” მიხედვით – 33:2 (!). მატჩის ბოლოსკენ, პუბლიკამ დანიელის გამხნევება დაიწყო, მაგრამ მარიამ ლოგიკურ განადგურებამდე მიიყვანა შეხვედრა – 6:2, 6:2.

შარაპოვამ შეწყვიტა ფინალურ მატჩებში ნაგებების უსიამოვნო სერია – მანამდე ის დამარცხდა ოლიმპიადის, პეკინისა და სტამბოლის გადამწყვეტ შეხვედრებში. ახალ რეიტინგში ის უკვე მეორე ნომარია და წინ აქვს მაიამის ანალოგიური კატეგორიის ტურნირი, სადაც უკვე სერენა უილიამსიც ითამაშებს და ვიქტორია აზარენკაც.

**ფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 2)**-კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 8) 6:2, 6:2.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ბრინი-კრისტიანსუნდი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/A** | |
| კრემონეზე-კომო | 3:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| დინამო (დრ)-კიოლნი | 0:2 |
| **რეგიონალლიგა (ს–დ)** | |
| კაიზერი II-კასელი | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დიჟონი-ნანტი | 3:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფორტუნა-კამბური | 1:0 |
| იგლზი-ექსელსიორი | 4:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰარტბერგი-აუსტრია (ლ) | გადაიდო |
| კაპფენბერგი-ჰორნი | გადაიდო |
| ვენა-ბლაუ ვაისი | 1:1 |
| ალტახი-გრიოდიგი | 1:0 |
| **საბერძნეთი** | |
| პანთრაკიკოსი-ქსანტი | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ირაკლისი (პ)-ირაკლისი (ს) | 0:3 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სამსუნი-ადანა | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-შემროკი | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| იჰლავა-ბოლესლავი | გადაიდო |
| **უკრაინა** | |
| მეტალისტი-გოვერლა | 1:0 |

| რუსეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ტომი-ნეფტეხიმიკი | 4:3 |
| ნალჩიკი-სკა ენერგია | 1:0 |
| როტორი-შინიკი | 0:0 |
| ბალტიკა-პეტროტრესტი | 2:0 |
| **[illegible]** | |
| არასტი-ლეჩია | 2:0 |
| **რუმინეთი** | |
| ბრაშოვი-უნივერსიტატეა | 0:0 |
| კლუჟი-რაპიდი | 0:0 |
| **ლატვიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| გულბენე-დაუგავა რიგა | დღეს |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კრუზეიდერსი-ლინფილდი | 3:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-ლე მანი | 66:60 |
| **საბერძნეთი** | |
| პანელეფსინიაკ.-პანათინაიკ. | 59:77 |
| **თურქეთი** | |
| ჰაჩეთეფე-ბეშიქთაში | 57:84 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ს. იულიაევი-აკ ბარსი | 4:3 (ო) |
| **ნორვეგია** | |
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 4:2 |
| სპარტა-ვოლერენგა | 4:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-პოპრადი | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-პლზენი | 2:5 |
| სლავია-კლადნო | 4:0 |
| სპარტა-ტრშინეცი | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნესი-შელეფტეო | 0:4 |
| მოდო-ფერიესტადი | 5:4 (ო) |

### TV პროგრამა

**19 მარტი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVII ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. აინტრახტი-შტუტგარტი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტური. სუონსი-არსენალი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ალკმაარი-აიაქსი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ლევერკუზენი-ბაიერნი.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
23:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტური. ტოტენჰემი-ფულემი.
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტური. ევერტონი-მანჩესტერ სიტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. სანტოსი-გუარანი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-ატლანტა.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რუბინი-ლევანტე.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. რასინგი-სარასენი.
19:00 ყველაზე სწრაფები.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-უტრეხტი.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ. მიმოხილვა.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-მაიამი.
01:15 NBA ACTION

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
15:15 კალათბურთი. ევროლიგა. ჟალგირისი-პანათინაიკოსი.
17:15 სპორტ-NEWS.
17:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შალკე-გალათასარაი.
19:45 კალათბურთი NBA ინდიანა - მაიამი
21:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0 | 9 | (უნალექოდ) |
| ქუთაისი | -2 | 13 | (უნალექოდ) |
| ბათუმი | 2 | 15 | (უნალექოდ) |
| ფოთი | 1 | 14 | (უნალექოდ) |
| ზუგდიდი | -3 | 12 | (უნალექოდ) |
| გორი | -4 | 9 | (უნალექოდ) |
| თელავი | 0 | 8 | (მცირე თოვლი) |
| სიღნაღი | -1 | 7 | (უნალექოდ) |
| გუდაური | -13 | -3 | (უნალექოდ) |
| ბაკურიანი | -11 | 2 | (უნალექოდ) |
| ბორჯომი | -4 | 4 | (უნალექოდ) |
| მესტია | -8 | 3 | (უნალექოდ) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1528 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6616 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5152 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3789 |

### ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-ბოსტონი 2:1**

2:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 კროსბი-13 (კუნიტცი-22, დუპუი-7), 1:1 სეგუინი-10 (პ. ბერჟერონი-17, ბოიჩუკი-3), 2:1 ვიტალე-1 (ადამსი-2, ორპიკი-7).

**ვაშინგტონი-ბაფალო 5:3**

1:0, 3:2, 1:1

გოლები: 1:0 ოვეჩკინი-11 (მ. იოჰანსონი-2, ბექსტრიომი-20), 1:1 ჰოჯსონი-11 (ვანეკი-17, პომინვილი-12), 2:1 ბროუერი-10 (რიბეირო-20, ბექსტრიომი-21), 3:1 ჩიმერა-1 (ბროუერი-9, რიბეირო-21), 4:1 მ. იოჰანსონი-3 (მ. პერო-7, ჯ. უორდი-9), 4:2 ფლინი-3 (ფოლინო-9, ენისი-12), 4:3 ჰოჯსონი-12 (ენისი-13, პომინვილი-13), 5:3 მ. პერო-5 (ჯ. უორდი-10).

**ედმონტონი-ნეშვილი 3:2**

0:0, 1:1, 2:1

გოლები: 1:0 პააიარვი-6 (ებერლე-13, რაიან უიტნი-6), 1:1 შ. უებერი-5 (იოსი-7, კ. სმიტი-6), 2:1 პეტრელი-2 (სემ განიე-16), 3:1 ებერლე-7 (ტ. ჰოლი-20, პეტრი-3), 3:2 იოსი-4 (ფიშერი-7, ბატლერი-2).

**ოტავა-ვინიპეგი 4:1**

2:0, 0:0, 2:1

გოლები: 1:0 ლატენდრესი-2 (ალფრედსონი-10, ზ. სმიტი-10), 2:0 სილვერბერგი-5 (გონჩარი-15, კ. ნილი-5), 2:1 ბოგოსიანი-2 (ჰეინსი-9, ლედი-15), 3:1 ტარისი-8 (ალფრედსონი-11, გონჩარი-16), 4:1 სილვერბერგი-6 (ზიბანეჯადი-4, ბენუა-6).

ვარსკვლავები


შეყვარებულები

# ლინდსი და ტაიგერი ერთად არიან

28 წლის ამერიკელმა მოთხილამურემ **ლინდსი ვონმა** დაადასტურა ჭორები იმის თაობაზე, რომ მას რომანი აქვს ლეგენდარულ გოლფისტთან, 37 წლის **ტაიგერ ვუდსთან**.

*„ვფიქრობ, უკვე ალარავისთვის არ არის საიდუმლო, რომ მე ტაიგერ ვუდსს ვხვდები. ჩვენი ურთიერთობა მეგობრობიდან უფრო ძლიერ გრძნობაში რამდენიმე თვის განმავლობაში გადაიზარდა და ამის გამო ძალიან ბედნიერი ვარ. მომავალში ამის შესახებ ლაპარაკს არ ვაპირებ. მინდა ჩემი ცხოვრების ეს ნაწილი საკუთარ თავში, ჩემს ოჯახსა და მეგობრებში შევინახო. მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის“*, - დაწერა Facebook-ის საკუთარ გვერდზე ვონმა.

შეგახსენებთ, რომ ადრე ვუდსი შვედი მოდელის **ელინ ნორდეგრენის** ქმარი იყო და მისგან ორი შვილი ჰყავს. 2009 წლის ნოემბერში, პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია ტაიგერის სექსუალური თავგადასავლების შესახებ, რამაც უდიდესი სკანდალი და გოლფისტისა და მოდელის დაშორება გამოიწვია.

ავტოსპორტი

# დანიკას ფორმულა არ უნდა

ამერიკელი ქალი პილოტის **დანიკა პატრიკის** ნასკარი-ის სერიაში წარმატებული გამოსვლის შემდეგ გაჩნდა ჭორები ამ ავტომრბოლის ფორმულა 1-ში გასვლის შესახებ. ამასწინ, „დიდი ცირკის“ მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** ინტერვიუში განაცხადა, რომ ძალიან სურს დანიკას ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭეთან ხილვა. პატრიკმა აღიარა, რომ ესიამოვნა ბრიტანელი ჩინოვნიკის სიტყვები, მაგრამ ევროპაში გადასვლას არ აპირებს.

*„ბერნის კომენტარს გავეცანი, - განაცხადა ESPN-თან ინტერვიუში დანიკა პატრიკმა. - მომეჩვენა, რომ ის აღიარებს ჩემს ოსტატობას.*

*მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ვერ ვხედავ ტესტების გავლის აზრს, მათ შორის, ფორმულა 1-ში, თუ შენ არ აპირებს ამ საქმით პროფესიულ დონეზე დაინტერესებას. ამისთვის ხომ სერიოზული მუშაობა და ახალ მანქანასთან ადაპტირებაა საჭირო?!“*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


დანიკა პატრიკი

## BUSINESS CHAMPIONS LEAGUE 17.03.2013

### JOMA SPORT GEORGIA — GOLD LEAGUE — VII ტური

**მინი-ფეხბურთის მოყვარულთა ლიგაში თამაშები კვირას 17 მარტს გაიმართა. პლეი ოფამდე ოქროს ლიგაში 2 ტური დარჩა გასამართი.**

| | |
|---|---|
| 3 : 9 | |
| 4 : 1 | |
| 2 : 5 | |
| 4 : 4 | |
| 1 : 3 | |

**VII ტურის სიმბოლური ნაკრები**

**მეკარე:** შოთა ღურბელეიშვილი (პატრული. 7 თამაში).

**მცველი:** მირიან ჯანგავაძე (საქ. უნივერსიტეტი. 7 თამაში, 1 გოლი); სერგი დარსაველიძე (TTC. 7 თამაში, 3 გოლი).

**უნივერსალი:** ლევან სარდანაშვილი (PSP. 7 თამაში, 8 გოლი); ლაშა მიდელაური (ნატახტარი 2. 6 თამაში, 4 გოლი).

**თავდამსხმელი:** ნიკოლოზ ჩალაძე (ALGO. 6 თამაში, 7 გოლი).

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | PATRULI | 7 | 6 | 0 | 1 | 23-7 | 18 |
| 2 | TTC | 7 | 4 | 2 | 1 | 23-14 | 14 |
| 3 | PSP | 7 | 4 | 1 | 2 | 19-16 | 13 |
| 4 | NATAKHTARI 2 | 7 | 4 | 1 | 2 | 17-17 | 13 |
| 5 | UN OF GEORGIA | 7 | 3 | 1 | 3 | 29-21 | 10 |
| 6 | GMG | 7 | 3 | 0 | 4 | 20-21 | 9 |
| 7 | ERISTAVI | 7 | 2 | 2 | 3 | 23-20 | 8 |
| 8 | MFC ALGO | 7 | 2 | 2 | 3 | 27-30 | 8 |
| 9 | PALAVANI | 7 | 2 | 0 | 5 | 17-23 | 6 |
| 10 | IBSU | 7 | 0 | 1 | 6 | 16-50 | 1 |

| ბომბარდირები: | | |
|---|---|---|
| [illegible] | UN OF GE | 16 |
| სარდანაშვილი | PSP | 8 |
| ჩალაძე | ALGO | 7 |
| ხევაზიშვილი | ALGO | 6 |
| ბიბაური | TTC | 6 |

| VIII ტური 24 მარტი | |
|---|---|
| 12:00 | GMG - IBSU |
| 13:00 | UN OF GE - ERISTAVI LAW GROUP |
| 14:00 | ნატახტარი 2 – TTC |
| 15:00 | პატრული – ალგო |

PSP - ფალავანი გადაიდო

### VTB — SILVER LEAGUE — VIII ტური

**ვერცხლის ლიგაში ბოლო ტურიღაა ჩასატარებელი და პლეი ოფის პარალელურად სტარტს ორივე ლიგაში თასის გათამაშება აიღებს.**

| | |
|---|---|
| 2 : 1 | |
| 13 : 0 | |
| 3 : 2 | |
| 6 : 2 | |
| 7 : 5 | |

**VIII ტურის სიმბოლური ნაკრები**

**მეკარე:** ლექსო ჯავახიშვილი (საქ. ბანკი. 4 თამაში).

**მცველი:** ვალერიან სალირაშვილი (VTB. 7 თამაში, 4 გოლი); ზვიად კუჭუაშვილი (BP GEORGIA. 8 თამაში, 4 გოლი)

**უნივერსალი:** ბექა აფაქიძე (ნატახტარი. 8 თამაში, 5 გოლი); გიორგი ზარქუა (DHL GEORGIA. 8 თამაში, 4 გოლი)

**თავდამსხმელი:** ირაკლი ჩიქოვანი (AUTO BILD. 8 თამაში, 14 გოლი)

| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BP GEORGIA | 8 | 6 | 1 | 1 | 34-6 | 19 |
| 2 | BANK OF GEORGIA | 8 | 5 | 3 | 0 | 40-10 | 18 |
| 3 | NATAKHTARI | 7 | 6 | 0 | 1 | 35-12 | 18 |
| 4 | VTB BANK | 7 | 5 | 1 | 1 | 23-12 | 16 |
| 5 | ARENA | 8 | 4 | 1 | 3 | 36-39 | 13 |
| 6 | DHL GEORGIA | 8 | 3 | 0 | 5 | 32-23 | 9 |
| 7 | AUTO BILD | 8 | 3 | 0 | 5 | 32-44 | 9 |
| 8 | ENGLISH BOOK | 8 | 3 | 0 | 5 | 21-45 | 9 |
| 9 | GPI HOLDING | 8 | 1 | 0 | 7 | 21-38 | 3 |
| 10 | BARAMBO | 8 | 0 | 0 | 8 | 16-61 | 0 |

| ბომბარდირები: | | |
|---|---|---|
| ჩიქოვანი | AUTO BILD | 14 |
| ბამზარიძე | ARENA | 13 |
| საყიშვილი | BANK OF GE | 12 |
| ბუღარიძე | BP GEORGIA | 10 |
| ლობჟანიძე | ENGLISH BOOK | 10 |

| IX ტური 31 მარტი | |
|---|---|
| 12:00 | ENGLISH BOOK - VTB BANK |
| 13:00 | BP GEORGIA - არენა |
| 14:00 | ჯი პი აი - ნატახტარი |
| 15:00 | ბარამბო - AUTO BILD |
| 16:00 | DHL GEORGIA - BANK OF GE |

JOMA SPORT GEORGIA
001@sbm.ge

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608